ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

მერაბ ცომაია

ისლამური ფუნდამენტალიზმი და საქართველო

პოლიტიკის მეცნიერება

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზვიად აბაშიძე
ასოცირებული პროფესორი

თბილისი
2018

ანოტაცია

ნაშრომი შეეხება საქართველოში ისლამური ფუნდამენტალიზმის,კერძოდ კი ტრადიციული და რადიკალური ვაჰაბიზმის გავრცელების საკითხს.განსაკუთრებულ აქცენტირებას ვახდენთ ამ უკანასკნელზე, რადგან ის უშუალოდ არის რა დაკავშირებული ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასთან,წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ქართული სახელმწიფოსთვის.

კვლევა შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ თავში მიმოვიხილეთ ზოგადად ისლამური ფუნდამენტალიზმის საფუძვლები,ასევე ვსაუბრობთ აღნიშნული ფენომენის კონკრეტული გამოვლინების-დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ შესახებ.

მეორე ნაწილში გავაანალიზეთ ის კონკრეტული ფაქტორები,რომლებმაც ჩვენი აზრით განაპირობეს საქართველოში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელება. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ რელიგიურ უმცირესობათა გარკვეული წარმომადგენლების წარუმატებელ პოლიტიკურ სოციალიზაციას, „ისლამური სახელმ წიფოს“ მიერ სოციალური ქსელების მეშვეობით წარმოებულ მასშტაბურ პროპაგანდისტურ კამპანიასა და გარე ძალების მხრიდან ფუნდამენტალისტთა სხვადასხვა სახის რესურსებით უზრუნველყოფას.

დასკვნით მესამე თავში განვიხილავთ ქართული სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ისლამურ ფუნდამენტალიზმთან ბრძოლის კუთხით.გამოვყოფთ ორ მიმართულებას;*პირველი*- სამართალდამცავ უწყებათა საქმიანობა,სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს,*მეორე*-სამოქალაქო ინტეგრაცია,განვიხილავთ როგორც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობას,ასევე 2015 წელს მიღებულ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიას.

ANNOTATION

The paper refers to the issue of Islamic fundamentalism in Georgia, in particular the spread of traditional and radical Wahhabism. We are especially focusing on the latter because it is directly related to national security, as it is a significant challenge for the Georgian state.

The research consists of three parts. In the first chapter we have reviewed the principles of Islamic fundamentalism in general and we are talking about the specific manifestation of the phenomenon of the group - "Islamic State".

In the second part we analyzed the specific factors which in our opinion led to the spread of Islamic fundamentalism in Georgia. We attach special importance to the unsuccessful political socialization of certain representatives of religious minorities, by providing the large-scaled propaganda campaign through social networks by the Islamic State and ensuring different recourses for the fundamentalists by external forces.

The conclusive third chapter discusses the steps taken by the Georgian government in the fight against Islamic fundamentalism. We have outlined two directions: first- law enforcement authorities' activities, where special attention is paid to the state security service; the second- civil integration, we discussed as activities of the state agency of religious issues, also, the civil equality and integration strategy adopted in 2015.

Author: Merab Tsomaia

Title: Islamic fundamentalism and Georgia

სარჩევი

შესავალი 5

თავი I. ისლამური ფუნდამენტალიზმის საფუძვლები 14

§1.1 ისლამური ფუნდამენტალიზმი 14

§1.2 „ისლამური სახელმწიფო“ 18

თავი II. საქართველოში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების განმაპირობებელი ფაქტორები 24

§2.1 პოლიტიკური სოციალიზაცია 27

§2.2 პროპაგანდა ისლამური ფუნდამენტალიზმის სამსახურში 32

§2.3 უცხოური მხარდაჭერა 43

თავი III. სახელმწიფო პოლიტიკა ისლამური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ 47

§ 3.1 ძალოვანი უწყებების საქმიანობა 48

§ 3.2 სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულება 56

დასკვნა 67

გამოყენებული ლიტერატურა 72

შესავალი

ისლამური ფუნდამენტალიზმი უკვე დიდი ხანია წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის, თუმცა პრობლემა განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ,რაც 2014 წლის ივნისში დაჯგუფება „ისლამურმა სახელმწიფომ“ გამოაცხადა „ხალიფატის“ შექმნა.უნდა აღინიშნოს რომ „ისლამური სახელმწიფოს“ ფენომენი წარმოადგენს უპრეცედენტო მოვლენას მსოფლიო ისტორიაში- ტერორისტულმა დაჯგუფებამ შეძლო რა სხვადასხვა ქვეყნებიდან ათასობით მებრძოლის მობილიზება,საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა სუვერენული ქვეყნების /სირია,ერაყი/ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი და ჩამოყალიბდა ერთგვარ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნად მთელი რიგი „ოფიციალური“ სტრუქტურებით. მხოლოდ 2017 წლის მიწურულისათვის საერთაშორისო კოალიციის აქტიური მონაწილეობით მოხერხდა აღნიშნული ტერიტორიების აბსოლუტური უმრავლესობის ექსტრემისტთა კონტროლისაგან გათავისუფლება,თუმცა ამით არ აღმოფხვრილა ის კომპლექსური საფრთხეები,რომლებიც „ისლამური სახელმწიფოსგან“ ემუქრება მსოფლიოს და მათ შორის საქართველოსაც. აღნიშნულმა ტერორისტულმა ორგანიზაციამ შეძლო რთული იერარქიული სისტემის ჩამოყალიბება და მხარდამჭერთა ფართო ქსელის შექმნა მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში,რომლის წევრებიც მზად არიან შეასრულონ უზენაესი ლიდერის-ხალიფას ნებისმიერი ბრძანება.

ჩემი ***საკვლევი თემაა*** საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების საკითხი.აღნიშნულ პროცესში შეგვიძლია გამოვყოთ 2 ეტაპი - *თავდაპირველად* მე-20 საუკუნის 90-იანი წლებში საქართველოში,უმთავრესად პანკისის ხეობაში აქტიურად დაიწყო ისლამურმა ფუნდამენტალიზმის,კონკრეტულად ვაჰაბიზმის ტრადიციული,კლასიკური მიმართულების გავრცელება; რაც შეეხება *მეორე* ეტაპს,ჩვენი მოსაზრებით „ფუნდამენტალისტური“,ექსტრემისტური ვაჰაბიზმის გააქტიურება უშუალოდ არის დაკავშირებული დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან“,რომელმაც ძლიერების პიკს მიაღწია 2014-15წლებში. ნაშრომში უმთავრეს ყურადღებას დავუთმობთ სწორედ ამ უკანასკნელს,გამომდინარე მისი მასშტაბურობიდან (პანკისთან ერთად შეეხო

ქართველი მუსლიმებისა და ეთნიკურ აზერბაიჯანელთა გარკვეულ ნაწილს) და იმ ფაქტის გათვალისწინებით,რომ „ფუნდამენტალისტური“ ვაჰაბიზმი ატარებს მეტად პოლიტიკურ ხასიათს კლასიკურ მიმართულებასთან შედარებით.

ვფიქრობთ,ქვეყნის მოქალაქეებს შორის რადიკალური ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების პროცესი წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას ქართული სახელმწიფოსთვის,რადგან უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასთან. აღნიშნულის ნათელ დადასტურებას წარმოადგენდა 2017 წლის 26 დეკემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც 23 ნოემბერს სპეცოპერაციის შედეგად ლიკვიდირებული „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერი აჰმედ ჩატაევი და მისი თანამებრძოლები გეგმავდნენ ტერორისტულ აქტებს საქართველოს ტერიტერიაზე. პრობლემის აქტუალურობას ზრდის ის გარემოებაც, რომ რადიკალური ვაჰაბიზმის მიმდევარია ასეულობით საქართველოს მოქალაქე.

მიზანი-კვლევა მიზნად ისახავს გამოავლინოს და შეისწავლოს ის ძირითადი ფაქტორები,რომლებმაც განაპირობეს საქართველოს მუსლიმური თემის გარკვეულ ნაწილში რელიგიური ფუნდამენტალიზმის, კერძოდ კი ვაჰაბიზმის როგორც ტრადიციული, ასევე რადიკალური მიმდინარეობის გავრცელება.

ამოცანები-1-შევისწავლოთ რამდენად ახერხებს სახელმწიფო რელიგიური უმცირესობების წარმატებულ პოლიტიკურ სოციალიზაციას;2-დავადგინოთ თუ რამდენად ხელმისაწვდო-მია ქართულ ელექტრონულ სივრცეში ისლამურ ფუნდამენტალიზმთან დაკავშირებული სააგიტაციო-პროპაგანდისტური მასალები;3-განვსაზღვროთ,კონკრეტულად რა სახის დახმა-რებას უწევდნენ დაინტერესებული სახელმწიფოები საქართველოში ისლამური ფუნ-დამენტალიზმის გავრცელებას;4-მოვიპოვოთ სარწმუნო მონაცემები „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში მებრძოლ საქართველოს მოქალაქეთა რაოდენობის შესახებ და შევაფასოთ პროცესის დინამიკა.

საკვლევი კითხვა: საქართველოში რადიკალური ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების პროცესში რამდენად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ პიროვნებათა წარუმატებელმა პოლიტიკურმა სოციალიზაციამ?

კითხვის ამგვარი ფორმულირება გამომდინარეობს იქედან,რომ სწორედ პოლიტიკური სოციალიზაცია არის ის პროცესი,რომლის საშუალებითაც სახელმწიფო ცდილობს აღზარდოს „კარგი მოქალაქეები“-ჩაუნერგოს ის ძირითადი ღირებულებები,რომელთა აღიარება უზრუნველყოფს მშვიდობიან თანაარსებობას საზოგადოების სხვა წევრებთან. შედეგად „ადამიანი იძულებული ხდება იფიქროს და იმოქმედოს საზოგადოებრივად მისაღები ფორმით“.რაც შეეხება საქართველოში არსებულ ვითარებას ამ მიმართულებით.შეიძლება ითქვას,რომ სახელმწიფო ვერ ახერხებს მოქალაქეთა გარკვეული ნაწილის წარმატებულ სოციალიზაციას,როდესაც საქმე ეხება ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს.კომპაქტურად განსახლებულ ეთნიკურ უმცირესობებში, ამ შემთხვევაში იგულისხმება ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები აზერბაიჯანელები, მწვავედ დგას სახელმწიფო ენის არცოდნის საკითხი,რომლის მოგვარებასაც ცენტრალური ხელისუფლება წლებია უშედეგოდ ცდილობს.მსგავსი ვითარება,როდესაც სახელმწიფო მოქალაქეებზე პრაქტიკულად ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს სოციალიზაციის ისეთი მძლავრი „აგენტების“ მეშვეობითაც კი როგორებიცაა სკოლა,უმაღლესი განათლება თუ მასმედია,ბუნებრივია ხელს უწყობს დაინტერესებულ უცხო ძალებს, მოახდინონ საკუთარი იდეოლოგიის გავრცელება.

რაც შეეხება მუსლიმი აღმსარებლობის მოქალაქეთა იმ ნაწილს,რომლებთან დაკავშირებითაც არ დგას სახელმწიფო ენის არცოდნის პრობლემა-ქართველ მუსლიმებსა და პანკისის ხეობაში მცხოვრებ ქისტებს.ამ შემთხვევაში,მათი რადიკალიზაციის პროცესში უმთავრეს მნიშვნელობას ვანიჭებთ სოციალიზაციის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს-უმაღლეს განათლებას.გამომდინარე იმ ფაქტიდან,რომ საქართველოში არ არსებობს სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებული უმაღლესი რელიგიური სასწავლებელი,რომელიც დაინტერესებულ პირს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს საფუძვლიანი თეოლოგიური განათლება, მოქალაქეები იძულებულნი ხდებიან მიაშურონ უცხოურ ქვეყნებში არსებულ რელიგიურ დაწესებულებებს,სადაც მაღალია მათი რადიკალური იდეების გავლენის ქვეშ მოქცევის ალბათობა.

ქვეკითხვა: XXს.-ის მიწურულს საქართველოს მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილში(განსაკუთრებით პანკისის ხეობის მცხოვრებთა შორის) ტრადიციული ვაჰაბიზმის გავრცელება რამდენად განაპირობა უცხო სახელმწიფოთა მხრიდან ფუნდამენტალისტთა სხვადასხვა სახის, განსაკუთრებით კი ფინანსური რესურსებით მხარდაჭერამ და რა როლი ითამაშა ამ პროცესში ადგილობრივმა სოციო-ეკონომიკურმა პირობებმა?

კვლევის ჰიპოთეზა: საქართველოს მოქალაქეთა შორის რადიკალური ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების ძირითად მიზეზად მივიჩნევთ ამ პიროვნებათა წარუმატებელ პოლიტიკურ სოციალიზაციას. აღნიშნულმა ფაქტორმა შესაძლებლობა მისცა „ისლამურ სახელმწიფოს“ მასშტაბური პროპაგანდისტური კამპანიის შედეგად, ამგვარ მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილში გაევრცელებინა საკუთარი ექსტრემისტული იდეოლოგია. „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდისტური „მანქანა“ განსაკუთრებულ აქცენტირებას ახდენდა შემდეგ დებულებებზე:1)მუსლიმები მთელს დასავლურ სამყაროში და მათ შორის საქართველოშიც განიცდიან მუდმივ შევიწროებასა და ჩაგვრას; 2) ყველა მართლმორწმუნე მუსლიმის რელიგიური ვალდებულებაა დაეხმაროს „ისლამურ სახელმწიფოს“, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ღმერთისგან მოელის მკაცრი სასჯელი როგორც ამქვეყნიურ ცხოვრებაში,ისე გარდაცვალების შემდეგ.

ცვლადები: *დამოუკიდებელი* ცვლადი-მუსლიმი აღმსარებლობის მოქალაქეთა გარკვეული ნაწილის წარუმატებელი პოლიტიკური სოციალიზაცია და მათი გაუცხოება ქართულ სახელმწიფოსთან; *დამოკიდებული* ცვლადი-ისლამური ფუნდამენტალიზმის რადიკალური მიმართულების აღმსარებელ მოქალაქეთა რიცხვი; *შუალედური* ცვლადი-ელექტრონული სივრცისა და განსაკუთრებით სოციალური ქსელების მეშვეობით მიმდინარე პროპაგანდისტური კამპანია.

ქვეჰიპოთეზა: საქართველოს მოქალაქეთა (უპირატესად პანკისის ხეობის მცხოვრებთა) შორის ტრადიციული, კლასიკური ვაჰაბიზმის გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი დაინტერესებული სახელმწიფოების, პირველ რიგში კი საუდის არაბეთის მიერ განხორციელებულმა მასშტაბურმა პროზელიტისტურმა კამპანიამ. ასევე ხაზგასასმელია ის გარემოება,რომ საბჭოთა „მებრძოლი ათეიზმის“ეპოქაში მოხდა

ტრადიციული ისლამის მკვეთრი დასუსტება, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ,მთელ ქვეყანაში,განსაკუთრებით კი პანკისში,აღმოჩნდა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. ამგვარი ფორმულირება გვაძლევს შესაძლებლობას, აღნიშნულ პროცესში გამოვკვეთოთ როგორც დაინტერესებული უცხო ძალების,ასევე საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმისა და დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ხანგრძლივი სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის როლი.

ცვლადები : *დამოუკიდებელი* ცვლადი-გარე ძალების მიერ ფუნდამენტალისტთა მხარდაჭერა სხვადასხვა სახის რესურსებით; *დამოკიდებული* ცვლადი-ტრადიციული მიმართულების ისლამური ფუნდამენტალიზმის აღმსარებელ მოქალაქეთა რიცხვი; *ანტიცედენტური* ცვლადი-საბჭოთა ეპოქაში ტრადიციული ისლამის გავლენის მკვეთ-რი შემცირება;*შუალედური* ცვლადი-ქვეყანაში არსებული მძაფრი სოციალურ-პოლიტი-კური კრიზისი.

რაც შეეხება ცვლადების **ოპერაციონალიზაციას**-პროპაგანდისტური საშუალებების ზეგავლენის ეფექტის გასაანალიზებლად უნდა დავადგინოთ, თუ რამდენად ხელმისაწვდომია საქართველოს მოქალაქეებისათვის ელექტრონულ სივრცეში „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ შექმნილი სააგიტაციო მასალები; ხოლო სოციალიზაციის ცნების გაზომვა შეგვიძლია მოვახდინოთ შემდეგნაირად-ქართული ენის თავისუფლად ფლობის მაჩვენებელი; მიღებული აქვს თუ არა კონკრეტულ პიროვნებას უმაღლესი განათლება საქართველოში.

კვლევის თეორია- გამოვიყენეთ ფრანგი ავტორის ოლივიე როის ნაშრომი *„გლობალიზებული ისლამი:ახალი მუსლიმური თემის ძიება“*(*Globalized Islam: The Search for a New Ummah).* მასში საუბარია „პოსტ-ისლამიზმის“ ფენომენის შესახებ,რომელიც მნიშვნელოვანწილად განსხვავდება კლასიკური ისლამისაგან და რომლის არსებობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ გლობალიზაციის ეპოქის პირობებში. მისი ძირითადი მახასიათებელი ნიშნებია რწმენის დეტერიტორიზაცია, დენაციონალიზაცია და რელიგიის პრივატიზაცია. მართალია, ავტორი განიხილავს

დაჯგუფება „ალ-ქაიდას“,თუმცა,ვფიქრობთ მოცემული ნაშრომი ლოგიკურად შეესატყვისება ჩვენს კვლევასაც,რადგან როგორც „ალ-ქაიდა“, ისე „ისლამური სახელმწიფო“ წარმოადგენენ არსობრივად მსგავს დაჯგუფებებს,იმ განსხვავებით,რომ ამ უკანასკნელმა მიაღწია უფრო ფართო მასშტაბებს და მოახერხა ათასობით ადამიანის რეკრუტირება სხვადასხვა ქვეყნებიდან. სწორედ პოსტ-ისლამიზმის აღნიშნული ძირითადი კომპონენტების შედეგად გახდა შესაძლებელი როგორც რეალური,ისე „ვირტუალური ხალიფატის“ შექმნა,რომელმაც უზრუნველყო სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრები ადამიანების გაერთიანება საერთო მიზნის მისაღწევად.

კვლევის მეთოდოლოგია-ნაშრომის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე,ავირჩიეთ კვლევის თვისებრივი მეთოდები,კონკრეტულად კი სიღრმისეული ინტერვიუ იმ პიროვნებებთან,რომლებსაც გააჩნიათ აღნიშნულ სფეროში საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება. ასევე მივმართეთ მეორადი წყაროების ანალიზს,რომელიც მოიცავდა კვლევისათვის საინტერესო სახელმძღვანელოებს, ნაშრომებს, სტატიებს, სახელმწიფო უწყებების საქმიანობის ანგარიშებს და კონკრეტული ჯგუფების სოციალური ქსელების გვერდებს.

შერჩევა-კვლევაში გამოყენებულია არაალბათური, კერძოდ კი მიზნობრივი შერჩევა,რადგან მივიჩნიეთ,რომ სწორედ ეს მეთოდი მოგვცემდა ვალიდური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას მოცემულ საკითხზე მომუშავე ანალიტიკოსთა მოსაზრებების გაცნობის შედეგად.

რაც შეეხება კვლევის **ლიმიტს**-რადგან ნაშრომი უშუალოდ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების საკითხებს,სახელმწიფო უწყებებიდან ვერ მოხერხდა გარკვეული ინფორმაციის მოპოვება. ასევე რიგ შემთხვევებში შეუძლებელი აღმოჩნდა ზუსტი რაოდენობრივი მაჩვენებლების მოძიება.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე,ლიტერატურა მოვიძიეთ სამი მიმართულებით.1-მასალები,რომლებშიც საუბარია ისლამური ფუნდამენტალიზმისა და განსაკუთრებით კი ვაჰაბიზმის შესახებ.2-კვლევები,რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას საქართველოს მუსლიმური თემის მდგომარეობის შესახებ და 3-ნაშრომები,რომლებიც შეეხება „ისლამურ სახელმწიფოს“/გლობალური ჯიჰადის რეალურ დამრტყმელ ძალას/, უპირატესად კი აქცენტირებას ახდენს აღნიშნული ორგანიზაციის მიერ გამოყენებულ რეკრუტირების სტრატეგიებზე,რომელთა დახმარებითაც დაჯგუფებამ მოახერხა საკუთარი დროშის ქვეშ ათასობით მებრძოლის გაერთიანება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან,მათ შორის საქართველოდანაც. ფუნდამენტალიზმის არსში გასარკვევად ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა აღნიშვნის ღირსია ენდრიუ ჰეივუდის „პოლიტიკური იდეოლოგიები”,რომელშიც განხილულია როგორც ზოგადად ისლამური ფუნდამენტალიზმი,ასევე მისი სხვადასხვა გამოვლინებები.ავტორი არა მხოლოდ აღწერს მოცემულ ფენომენს,არამედ მსჯელობს მისი გამომწვევი მიზეზების შესახებაც. ისლამისა და კონკრეტული ფუნდამენტალისტური მიმართულებების შესახებ ძალზე საინტერესო ცნობებს გვაწვდის ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე,გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი რევაზ გაჩეჩილაძე ნაშრომში „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე,ხალხი და პოლიტიკა“. კერძოდ, წიგნში გადმოცემულია მნიშვნელოვანი ინფორმაცია ისლამური ფუნდამენტალიზმის კონკრეტულ გამოვლინების-ვაჰაბიზმის შესახებ,რომლის აღმსარებელია საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი. აღნიშნულ ფენომენთან დაკავშირებით არის საუბარი ვახტანგ მაისაიას სახელმძღვანელოშიც - „თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში: (რეგიონული პროცესების მაგალითზე)“. მასში დეტალურად განხილულია როგორც ვაჰაბიზმის ძირითადი იდეოლოგიური პოსტულატები,ასევე საუბარია იმ პროცესების შესახებ,რომელიც სწორედ ვაჰაბიზმის გავლენით მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, დაწყებული მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან.აღნიშნულმა პროცესმა კი განსაკუთრებით დიდი გავლენა მოახდინა პანკისის ხეობაზე და მნიშვნელოვანწილად

განაპირობა მოსახლეობაში რადიკალური ისლამის გავრცელება. ამავე ნაშრომში ავტორი განიხილავს ისლამური ფუნდამენტალიზმის იმგვარ გამოვლინებებს, როგორებიცაა მოძრაობა „თალიბანი“ და დაჯგუფება „ალ-ქაიდა“.

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოს. ქვეყნის მუსლიმური თემის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად გავეცანით არჩილ სიხარულიძის, მაია ურუშაძის,გელა ხმალაძისა და რაუფ ჭიჭინაძის ავტორობით მომზადებულ კვლევის ანგარიშს (2016 წ.)- „ისლამი საქართველოში: პოლიტიკა და ინტეგრაცია“. ნაშრომში საუბარია მუსლიმი მოსახლეობის განსახლების სამივე ძირითადი არეალის: ქვემო ქართლის,აჭარისა და პანკისის ხეობის შესახებ. მიმოხილულია როგორც სხვადასხვა სამთავრობო უწყებების,ასევე მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების(როგორც დედაქალაქში,ისე ადგილზე მომუშავე) საქმიანობა მუსლიმურ თემთან დაკავშირებით. კვლევის დასკვნით ნაწილში გაანალიზებულია ქართული მედიის ზეგავლენა მუსლიმი მოსახლეობის ინტეგრაციის პროცესზე.პანკისის ხეობასთან დაკავშირებით გავეცანით 2015 წლის ნოემბერში საქართველოს რეფორმების ასოციაციის მიერ გიორგი გოგუაძისა და სერგი კაპანაძის ავტორობით შემუშავებულ პოლიტიკის დოკუმენტს-„დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები“. ნაშრომში განხილულია ადგილზე არსებული ვითარება, ასევე სახელმწიფო პოლიტიკა ხეობის მიმართ.

რაც შეეხება მასალებს,რომლებშიც საუბარია „ისლამურ სახელმწიფოსა“ და განსაკუთრებით კი დაჯგუფების მიერ აპრობირებული რეკრუტირების სხვადასხვა სტრატეგიების შესახებ; ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი დახმარება გაგვიწია 2014 წლის ნოემბერში The Meir Amit Intelligence and Terrorism Information Center-ის მიერ გამოქვეყნებულმა ნაშრომმა-„ისლამური სახელმწიფო“:ჯიჰადისტური ტერორისტული ორგანიზაციის პორტრეტი“(ISIS: Portrait of a Jihadi Terrorist Organization). მასში დეტალურად არის განხილული „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგია და მსოფლმხედველობა, დაჯგუფების მიერ პროპაგანდისტური საშუალებების ინტენსიური გამოყენება, სტრუქტურა და ა.შ. საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის რიჩარდ ბარეტის კვლევა -„ისლამური სახელმწიფო“(THE ISLAMIC STATE). მასში საუბარია ორგანიზაციის იდეოლოგიის,სტრუქტურისა და მიზნების შესახებ.ასევე ყურადღება ეთმობა ISIS-ის მიერ სოციალური ქსელების დახმარებით მხარდამჭერთა

მობილიზაციის ფენომენს. „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გამოყენებულ რეკრუტირების ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების განხილვისას განსაკუთრებული დახმარება გაგვიწია დორიან ლეფინკის ნაშრომმა-„ისლამური სახელმწიფოს რეკრუტირების პროპაგანდა“(Recruitment Propaganda of the Islamic State).მასში ავტორი აანალიზებს რა „ხალიფატის“ საინფორმაციო-პროპაგანდისტურ კამპანიას,გამოჰყოფს ოთხი სახის ნარატივს, რომლებმაც მისი აზრით,განსაკუთრებული როლი შეასრულეს „ისლამურ სახელმწიფოში“ რეკრუტირების პროცესში.

თავი I

ისლამური ფუნდამენტალიზმის საფუძვლები

§1.1 ისლამური ფუნდამენტალიზმი

ისლამური ფუნდამენტალიზმის განხილვისას პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ტერმინი „ფუნდამენტალიზმი“ მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *fundamentum*, რაც ნიშნავს საფუძველს(ჰეივუდი,2004.გვ.337). იგივე ავტორი ნათლად გადმოგვცემს აღნიშნული ფენომენის არსს-„ისლამური ფუნდამენტალიზმი ნიშნავს ძლიერ და საომარი სულისკვეთებით გამსჭვალულ რწმენას იმისა, რომ ისლამის პოსტულატები წარმოადგენს სოციალური ცხოვრებისა და პოლიტიკის, აგრეთვე-მორალის ძირითად პრინციპებს.ისლამურ ფუნდამენტალისტებს სურთ განამტკიცონ რელიგიის პრიმატი პოლიტიკაზე“(იქვე, გვ.353).

რაც შეეხება უშუალოდ ისლამური ფუნდამენტალიზმის კონკრეტულ გამოვლინებებს, ბუნებრივია ისინი არსებობს როგორც შიიტური,ისე სუნიტური ისლამის ფარგლებში, თუმცა ნაშრომში განვიხილავთ სწორედ ამ უკანასკნელს,გამომდინარე იქედან,რომ ის გაცილებით მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან. როგორც ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე რევაზ გაჩეჩილაძე აღნიშნავს,სუნიტურ ისლამში არსებულ საღვთისმეტყველო-სამართლებრივ სკოლათაგან ყველაზე კონსერვატიულის-ჰანბალიტურის საფუძველზე ჩამოყალიბდა ისლამური ფუნდამენტალიზმის ის ფორმა,რომელიც ცნობილი არის **ვაჰაბიზმის** სახელწოდებით.1740-იან წლებში მუჰამად იბნ-აბდალ-ვაჰაბის მიერ შექმნილი ულტრაკონსერვატიული მოძღვრება უარყოფს ყველანაირ სიახლეს და მორწმუნეებს მოუწოდებს ცხოვრების იმგვარი ნორმების აღდგენისკენ,რომლებიც მოცემულია ყურანსა და ადრეულ სუნაში(გაჩეჩილაძე,2011.გვ.111). აღნიშნულ ნაშრომში ავტორი ასევე საუბრობს იმის შესახებაც,რომ ვაჰაბიზმი არ არის ერთადერთი ფუნდამენტა-ლისტური მიმდინარეობა სუნიტურ ისლამში.არსებობს მიმართულება „სალაფიზმიც“. ტერმინი მომდინარეობს „წინაპრების“აღმნიშვნელი არაბული სიტყვიდან და გულისხმობს მუჰამედსა და მომდევნო ორ თაობას,რომლებიც „ჭეშმარიტ ისლამს“

მისდევდნენ. აღნიშნულ დოქტრინას იზიარებს ისეთი გავლენიანი ორგანიზაცია,როგორიცაა ეგვიპტეში ჩამოყალიბებული „მუსლიმური ძმობა“.მართალია, სალაფიტები უარყოფენ ვაჰაბიზმთან მნიშვნელოვან მსგავსებას და ამ უკანასკნელს მიიჩნევენ ულტრაკონსერვატიულ მიმართულებად,თუმცა წლებია აღნიშნული ტერმინები პრაქტიკულად სინონიმებად გამოიყენება (იქვე,გვ.113). იმ ფაქტის გათვალისწინებით,რომ საქართველოში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელება მნიშვნელოვანწილად არის დაკავშირებული საუდის არაბეთთან,სადაც ვაჰაბიზმი წარმოადგენს სახელმწიფო რელიგიას, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ნაშრომში სწორედ ამ ტერმინით აღვნიშნოთ ეს კონკრეტული ფუნდამენტალისტური მიმართულება.

ისლამური ფუნდამენტალიზმის განხილვისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ვახტანგ მაისაიას ნაშრომს - „თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში (რეგიონული პროცესების მაგალითზე)“(2009წ.)(http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.10&d=HASH01bde295082ec32abb82af60.4). მასში საუბარია ვაჰაბიზმის წიაღში არსებული *სამი* მიმართულების შესახებ:

1. ,,ტრადიციული” ანუ კლასიკური მიმართულება - მისი კრედო განისაზღვრება ძირითადში საგარეო პოლიტიკის ორი მთავარი პრინციპით: ისლამური სოლიდარობით და არაბული ერთიანობით.

2. ,,მოდერნისტული” მიმართულება - უფრო ადაპტირებულია დღევანდელი სამყაროს ეკონომიკურ რეალიებთან და წარმოადგენს ლიბერალური შინაარსის მატარებელ ისლამის ნაირსახეობას. მისი გეოგრაფიული არეალი ვრცელდება სპარსეთის ყურეზე და მოიცავს აქ მდებარე განვითარებული მუსლიმანურ სახელმწიფოებს (კერძოდ, კატარი, ქუვეითი, ომანი და ა.შ.).

3. ,,ფუნდამენტალისტური” მიმართულება - გამოირჩევა მაღალი დონის აგრესიულობით და სამხედრო ორიენტაციის მაღალი მაჩვენებლით. მის ძირითად კრედოს შეადგენს ე.წ. ,,სუფთა ისლამის ექსპორტის” პრინციპი). თანამედროვე ეპოქაში ვაჰაბიზმის აღნიშნული მიმართულების საყოველთაოდ ცნობილ გამოხატულებად

შეიძლება მივიჩნიოთ იმგვარი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორებიცაა „ალ-ქაიდა“, „თალიბანი“ და „ისლამური სახელმწიფო“.მოცემულ ნაშრომში ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ სწორედ ამ უკანასკნელს,რადგან ISIS წარმოადგენს ერთგვარ უნიკალურ მოვლენას მსოფლიო პოლიტიკაში.ისტორიაში პირველად,ტერორისტულმა დაჯგუფებამ საკუთარ კონტროლქვეშ მოაქცია რა სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი,თავად გამოთქვა პრეტენზია საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ჩამოყალიბების შესახებ და მოახერხა ათასობით ადამიანის საკუთარი დროშის ქვეშ დარაზმვა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის საქართველოდანაც.

ვაჰაბიზმზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით „ჯიჰადის“ ცნებას, რადგან ის წარმოადგენს აღნიშნული დოქტრინის „ქვაკუთხედს“. თუკი ტრადიციული ისლამის თანახმად „უდიდეს ჯიჰადს“ წარმოადგენს არა პოლიტიკური ბრძოლა ურჯულოთა წინააღმდეგ, არამედ-შინაგანი ჭიდილი და, შედეგად, პიროვნების სრულყოფა მორალური დისციპლინისა და ისლამისადმი ერთგულების გზით“(ჰეივუდი:356), ვაჰაბიზმის და განსაკუთრებით მისი რადიკალური მიმართულებისთვის, ჯიჰადი-ეს არის ,,საღვრთო ომი” ყველა ურჯულოსა და ,,გზააცდენილი მუსლიმანის” წინააღმდეგ“(მაისაია,2009). სწორედ ამიტომ, სრულებით არ არის გასაკვირი დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ბრძოლა არა მხოლოდ ქრისტიანების, არამედ ისლამის სხვადასხვა მიმართულების აღმსარებელთა, განსაკუთრებით კი შიიტთა წინააღმდეგ.აღსანიშნავია,რომ ჯერ კიდევ 2014 წლის სექტემბერში, როდესაც სულ რამდენიმე თვის გამოცხადებული იყო „ისლამური ხალიფატის“ შექმნა, ირანის პრეზიდენტმა მკაცრად დაგმო ეს დაჯგუფება და მას უწოდა „საფრთხე მთელი კაცობრიობისთვის“(http://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/1450525).

რაც შეეხება უშუალოდ ისლამისა და ისლამური ფუნდამენტალიზმის ურთიერთმიმართების საკითხს. მართალია, ისლამი „ქადაგებს მშვიდობას,ურთიერთპატივისცემასა და სამართლიანობას“,თუმცა მასში არსებობს გარკვეული წინაპირობები სხვადასხვა ფუნდამენტალისტური მოძრაობების წარმოსაქმნელად. როგორც ე.ჰეივუდი აცხადებს,ისლამში გაერთიანებული უკიდურესად მრავალფეროვანი შეხედულებები „იმდენად წინააღმდეგობრივ

ინტერპრეტაციებს ექვემდებარება,რომ მისი მეშვეობით თითქმის ნებისმიერი ქმედების გამართლებაა შესაძლებელი“(ჰეივუდი:356)...ყურანის არასწორი გაგებისა და მისი გარკვეული ტექსტების ექსტრემისტული ინტერპრეტაციის საილუსტრაციოდ შეიძ-ლება მოვიყვანოთ შემდეგი ციტატა-„მოკალი კაფირი (ურწმუნო), სადაც კი იპოვი.ჩაიგდეთ ისინი ტყვედ, ალყა შემოარტყით მათ, ყველა მხრიდან იყავით ჩასაფრებულები“ (https://www.amerikiskhma.com/a/isis-georgia/3071479.html). უმთავრეს რელიგიურ ტექსტში ამგვარი ფრაზების არსებობას, ბუნებრივია, თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ სხვადასხვა ექსტრემისტული ორგანიზაციები/მაგ.„ისლამური სახელმწიფო“/,რომლებიც არწმუნებენ მიმდევრებს,რომ ისინი მოქმედებენ სწორედ ალაჰის ნების შესაბამისად და ასრულებენ მის მითითებებს. სწორედ ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებათ სასულიერო პირებს,რომლებმაც ნათლად უნდა განუმარტონ მორწმუნეებს როგორც ცალკეული ციტატების,ასევე მთლიანი ტექსტის არსი. როგორც ამავე სტატიაში სრულიად საქართველოს მუსლიმთა მუფთის მოადგილე ადამ შანთაძე აცხადებს:„ყურანის ცალკეული აიათების ციტირება ან თვით ამ აიათებიდან ამონარიდების ამოღება და მათი როგორც დამოუკიდებელი ტექსტების ციტირება, მით უმეტეს დასკვნების გამოტანა ყოვლად მიუღებელია. ვინაიდან ყურანის მთელი ტექსტი წარმოადგენს ერთობლიობას და უნდა იქნას განხილული აიათების მოვლინების მიზეზი და ადგილი“. გამომდინარე აქედან,არ არის გასაკვირი ის დიდი აგრესია, რომელსაც „ისლამური სახელმწიფოს“ ქართველი მებრძოლები საკუთარ ვიდეო-მიმართვაში ამჟღავნებენ ადგილობრივი სასულიერო პირების მისამართით და მათ მოიხსენიებენ როგორც „ეგრეთ წოდებულ ხოჯებსა და მუფთებს“.

ამგვარად ისლამური ფუნდამენტალიზმი და კერძოდ კი ვაჰაბიზმის რადიკალური მიმართულება წარმოადგენს იმგვარ დოქტრინას,რომლის პრაქტიკული განხორციელებაც დიდ პრობლემებს შეუქმნის არსებულ მსოფლიო წესრიგს,რაც ნათლად დაადასტურა დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფოს“ ქმედებებმა ერაყისა თუ სირიის ტერიტორიაზე.

§1.2 „ისლამური სახელმწიფო“

როგორც აღვნიშნეთ, „ისლამური სახელმწიფო“,იგივე ISIS/ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო/ წარმოადგენს დაჯგუფებას, რომლის ოფიციალური დოქტრინა არის ვაჰაბიზმის „ფუნდამენტალისტური“ ფორმა. მას შემდეგ, რაც ISIS-მა საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარა რა ერაყისა და სირიის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი,2014 წლის 29 ივლისს ქალაქ მოსულის ალ-ნურის ისტორიულ მეჩეთში გამოაცხადა „ისლამურ ხალიფატის“ შექმნა და საკუთარ მეთაურს-აბუ ბაქრ ალ-ბაღდადს მინიჭა ხალიფის ტიტული.ამ ფაქტს ჰქონდა უდიდესი სიმბოლური დატვირთვა,რადგან აღნიშნული ნაბიჯით „ისლამურმა სახელმწიფომ“ ღიად დააფიქსირა მისწრაფება გამხდარიყო VII საუკუნეში შექმნილი არაბთა სახალიფოს მემკვიდრე და საკუთარ კონტროლქვეშ მოექცია ის ტერიტორიები,რომლებსაც ფლობდა უძველესი ხალიფატი.ამ შემთხვევაში საუბარია უზარმაზარ ტერიტორიაზე,რადგან როგორც ცნობილია,არაბთა სახალიფო განსაკუთრებით კი ომაიანთა მმართველობის ეპოქაში/661-750/ წარმოადგენდა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთ უდიდეს სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს.იგი მდებარეობდა სამ კონტინენტზე და აკონტროლებდა მთელ ჩრდილოეთ აფრიკას, პირენეს ნახევარკუნძულის უდიდეს ნაწილს,მთელ არაბეთის ნახევარკუნძულს,თითქმის მთელ დღევანდელ ირანს,თანამედროვე პაკისტანის,ავღანეთისა და თურქეთის დიდ ნაწილს,ასევე მნიშვნელოვან ტერიტორიებს კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.„ისლამური სახელმწიფო კი პრეტენზიებს აცხადებდა კიდევ უფრო ვრცელი ტერიტორიების ფლობაზე, რომლებიც გამოსახულია სხვადასხვა პროპაგანდისტურ რუკებზე.საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ-ერთ მათგანს.

მართალია, ობიექტური დამკვირვებლისათვის ნათელია მისი უტოპიური ხასიათი,თუმცა მსგავსი ტიპის მასალებმა აქტიური პროპაგანდისტური კამპანიის შედეგად ადამიანთა გარკვეულ ნაწილზე მოახდინა „ხალიფატისათვის“ სასურველი ზეგავლენა.

„ისლამური სახელმწიფოს“ შესახებ არსებობს მრავალი ნაშრომი და სამეცნიერო სტატია,თუმცა ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ The Meir Amit Intelligence and Terrorism Information Center [ITIC]-ის მიერ შექმნილ კვლევას-„ISIS: Portrait of a Jihadi Terrorist Organization“, ასევე რიჩარდ ბარეტის ნაშრომს:„The ISLAMIC STATE”. აღნიშნული კვლევები გვაწვდის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციებს „ისლამური სახელმწიფოს“შესახებ. პირველ რიგში განვიხილავთ ISIS-ის იდეოლოგიასა და მსოფლმხედველობას. ITIC-ის კვლევა „ისლამურ სახელმწიფოს“ მოიხსენიებს, როგორც ჯიჰადისტურ ორგანიზაციას, რომელსაც ისლამის „ოქროს ხანის“ აღდგენა ესახება სწორედ „წმინდა ომის“ მეშვეობით. ამ რადიკალური იდეოლოგიის თანახმად,ყოველი მუსლიმის პირადი მოვალეობაა იბრძოლოს „ისლამის მიწის“ უცხო, უპირველესად, დასავლური გავლენისაგან გასათავისუფლებლად. აუცილებლად ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ზემოაღნიშნული მსოფლმხედველობა ისლამის მტრად მიიჩნევს არა მხოლოდ დასავლურ სამყაროს აშშ-ს მეთაურობით, არამედ იმ მუსლიმურ რეჟიმებსაც, რომლებიც თანამშრომლობენ დასავლურ ქვეყნებთან ან ატარებენ სეკულარულ ხასიათს (ITIC,p.36).აღნიშნულის მკაფიო დადასტურებაა 2018 წლის აპრილში ISIS-ის მიერ გავრცელებული ვიდეო-მიმართვა,რომელშიც დაჯგუფება საკუთარ მიმდევრებს

მოუწოდებს დაუნდობლად იბრძოლონ „ჯვაროსნების მოკავშირე“ სხვადასხვა არაბული ქვეყნების/ საუდის არაბეთი, ეგვიპტე, ირანი/ ლიდერთა წინააღმდეგ (https://www.nytimes.com/2018/04/22/world/middleeast/isis-arabs-attacks.html). ISIS დიდ მნიშვნელობას ანიჭებს „ტაკფირის“ კონცეფციას,რომელიც გულისხმობს ბრძოლას ყველა იმ ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებიც არ იზიარებენ რადიკალურ ფუნდამენტალისტურ შეხედულებებს. ტაკფირი იმდენად ორგანული ნაწილია მოცემული მიმდინარეობის, რომ მკვლევარები ხშირად ფუნდამენტალისტთა ამ ჯგუფს ტაკფირისტების სახელით მოიხსენიებენ.„ისლამური ხალიფატის“ შექმნისთანავე მისმა ლიდერებმა მოუწოდეს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მცხოვრებ მუსლიმებს შეერთებოდნენ ახლადშექმნილ „სახელმწიფოს“, რადგან ეს იყო მათი რელიგიური ვალდებულება. აუცილებლად უნდა შევეხოთ ასევე „ისლამური სახელმწიფოს“ დროშას და მასზე გამოსახულ სიმბოლოებს.ორგანიზაციის დროშაზე გამოსახულია ისლამური რწმენის საკვანძო თეზისი: „არ არსებობს ჭეშმარიტი ღვთაება გარდა ალაჰისა და მუჰამედი მისი შუამავალია“(ITIC,p.51). ამდენად,ნათელია, რომ ISIS ცდილობს მის მიერ განხორციელებული ყოველი ქმედება გაამართლოს როგორც „ალაჰის ნების“ აღსრულება.საინტერესოა, რომ მოცემული კვლევა „ისლამური სახელმწიფოს“ ლიდერების განხილვის დროს ხალიფატის მეთაურ ალ-ბაღდადის შემდეგ ასახელებს თარხან ბათირაშვილს, იგივე ომარ ალ-შიშანს(ITIC,p.140), რაც ნათლად ადასტურებს რამდენად დიდი გავლენა ჰქონდა ბათირაშვილს ISIS-ის რიგებში. ამიტომ არ არის გასაკვირი, თუ რატომ იქცა იგი მშობლიური პანკისის ხეობის ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილისათვის პატივსაცემ პიროვნებად.საქართველოში,კერძოდ კი პანკისის ხეობაში ისლამური ფუნდამენტალიზმის რადიკალურ-ექსტრემისტული მიმართულების პოპულარიზაციის საქმეში კონკრეტული პიროვნებების, უპირველესად, თარხან ბათირაშვილის როლის შესახებ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ ნაშრომის მეორე ნაწილში.

„ისლამურ სახელმწიფოზე“ საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ამ ორგანიზაციის ფინანსურ შესაძლებლობებს. ISIS ფართოდ არის აღიარებული,როგორც მსოფლიოს უმდიდრესი ტერორისტული ორგანიზაცია,რომელმაც უზარმაზარი მოცულობის თანხების აკუმულირება მოახდინა იმგვარი საქმიანობების შედეგად, როგორებიცაა:

ადამიანებით ვაჭრობა, მასშტაბური ნარკოტრეფიკი, ადამიანთა ორგანოების არალეგალური გაყიდვები და განსაკუთრებით კი, ნავთობის გაყიდვა შავ ბაზარზე... ISIS სხვადასხვა უკანონო ქმედებებით ახერხებდა დღეში რამდენიმე მილიონი აშშ დოლარის აკუმულირებას, რაც დასავლური კოალიციის საჰაერო იერიშების შედეგად შემცირდა მილიონ აშშ დოლარამდე/2014 წლის ოქტომბრის მდგომარეობით/(ITIC,p.151). ბუნებრივია, ერაყსა და სირიაში ტერიტორიების უდიდესი ნაწილის დაკარგვის შედეგად, „ხალიფატის“ შემოსავლები მნიშვნელოვანწილად შემცირდა, თუმცა უდავოა,რომ იგი კვლავაც ინარჩუნებს მნიშვნელოვან ფულად აქტივებს, რასაც ნათლად ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ არ შეწყვეტილა სხვადასხვა სახის პროპაგანდისტური მასალების გავრცელება ინტერნეტ-სივრცეში.

აუცილებლად უნდა შევეხოთ „ისლამური სახელმწიფოს“ ადმინისტრაციულ იერარქიულ სტრუქტურასაც.აღნიშნულის შესახებ დეტალურად საუბრობს ვახტანგ მაისაია სტატიაში „ისლამური ხალიფატის“ დაჯგუფება:სტრუქტურა,პოლიტიკური სისტემა და მისგან მომდინარე კონკრეტული ასიმეტრიული საფრთხეები და საქართველო“.როგორც იგი აღნიშნავს, საკუთარ კონტროლქვეშ მყოფ ტერიტორიებზე (სირიის 2/3 და ერაყის 1/3) ISIS-მა ჩამოაყალიბა 12-12 „ვილაიეთი“.ბუნებრივია,მსგავსი ვრცელი ტერიტორიისა და მრავალრიცხოვანი მოსახლეობის მართვა შეუძლებელი იყო მოწესრიგებული იერარქიული სტრუქტურის გარეშე.„სახალიფოს“ გააჩნია ჩვეულებრივი სუვერენული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი სტრუქტურები- მინისტრთა კაბინეტი,არმია,პოლიცია,სასამართლო... სამხედრო მაღალჩინოსანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ადრე მსახურობდა სადამ ჰუსეინის არმიაში და გააჩნიათ დიდი გამოცდილება. დასავლური ქვეყნების გათვლით, ალ-ბაღდადის მფარველობაში არის დაახლოებით 1000-მდე საშუალო და მაღალი რანგის მეთაური. მათი ხელფასი მერყეობს 500-2000$-მდე თვეში, გააჩნია რა მოვალეობებს ასრულებს თითოეული მათგანი.ყოველ პროვინციას გააჩნია საკუთარი „გუბერნატორი“, რომელიც რეგიონის მართვაზე არის პასუხისმგებელი. „ისლამურმა სახელმწიფომ“ დააარსა საკუთარი სასამართლო, რომელიც მოქმედებს შარიათის კანონების მიხედვით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დაპყრობილ ტერიტორიებზე ასევე ფუნქციონირებს „ზნეობრივი პოლიცია“ –„ჰიზბოა“, რომელიც პასუხისმგებელია ისლამური სამართლის დაცვაზე,

ნებისმიერ კანონდარღვევაზე მოქმედებს მკაცრი, შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი სასჯელები. დამნაშავეთა დასჯა ხორციელდება სახალხოდ(გვ.3-4).

რაც შეეხება „ისლამურ სახელმწიფოს“ ქართველ რეკრუტთა და ამ დაჯგუფებასთან დაკავშირებულ მოქალაქეთა რიცხვს,ოფიციალური წყაროების მიხედვით,ISIS-ში საქართველოდან წასულ მებრძოლთა რაოდენობა შეადგენდა დაახლოებით 50-100 ადამიანს,თუმცა ანალიტიკოსები საუბრობენ უფრო დიდ მასშტაბებზე. მაგალითად,როგორც ბატონმა მამუკა არეშიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა,საერთო ჯამში საქართველოდან „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში საბრძოლველად გაემგზავრა 200-250 ადამიანი, ხოლო დაღუპულმა რიცხვი კი შეადგენს 40-50-ს. როგორც ვახტანგ მაისაია აცხადებს-„საქართველოში უშუალოდ ხალიფატის დაქვემდებარებაში მყოფი მომხრეების საერთო რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 200-300 მუჯაჰედინს, რომლებიც ასრულებენ ე.წ. „პასიური“ მხარდამჭერთა ფუნქციებს“.ნათელია, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნისათვის, რადიკალ-ფუნდამენტალისტთა ამგვარი რაოდენობის არსებობა არის მნიშვნელოვანი გამოწვევა და საჭიროებს დიდი ყურადღებას სახელმწიფოს მხრიდან.

მართალია, დასავლური კოალიციისა და რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული მასშტაბური საბრძოლო მოქმედებების შედეგად, „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაკარგა ტერიტორიების აბსოლუტური უმრავლესობა სირიასა და ერაყში,თუმცა საუბარი მის საბოლოო განადგურებაზე ნაადრევია. აღნიშნული მოსაზრების მართებულობას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ 2018 წლის გაზაფხულზე, დასავლურ მედია-საშუალებებში დაიწყო საუბარი ISIS-ის მიერ გარკვეულ ტერიტორიებზე კონტროლის აღდგენის შესახებ (https://www.washingtonexaminer.com/policy/defense-national-security/isis-regaining-control-of-some-areas-of-syria-us-military-says). ამგვარად, აშკარაა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ ბრძოლა არ არის დასრულებული და საჭიროა მისი ბოლომდე მიყვანა.

ერთი სიტყვით, „ისლამური სახელმწიფოს“ ოფიციალურ დოქტრინას წარმოადგენს „ფუნდამენტალისტური“ ვაჰაბიზმი.ის დაუნდობლად ილაშქრებს არა მხოლოდ ქრისტიანების, არამედ ისლამის ნებისმიერი, მისგან განსხვავებული ფორმის

წინააღმდეგ. ISIS-მა საკუთარი ბარბაროსობით დაჩრდილა ისეთი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორებიცაა „ალ-ქაიდა“ და „თალიბანი.“ამ ორგანიზაციამ მოახერხა ათასობით ადამიანის გადაბირება სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის საქართველოდანაც. აღსანიშნავია ის გარემოება,რომ საქართველოდან წასული მებრძოლები/თარხან ბათირაშვილი, მურად მარგოშვილი, რუსლან მაჩალიკაშვილი/წარმოადგენდნენ არა დაჯგუფების რიგით წევრებს,არამედ ეკავათ მნიშვნელოვანი თანამდებობები “ისლამური სახელმწიფოს” იერარქიულ სტრუქტურაში. დასავლური კოალიციისა და რუსეთის ქმედებების შედეგად „ხალიფატის“ ძლიერება მნიშვნელოვნად შესუსტდა, თუმცა ISIS კვლავაც რჩება „გლობალური ჯიჰადის რეალურ დამრტყმელ ძალად“ და ჯერჯერობით მსოფლიო საბოლოოდ არ არის გათავისუფლებული სენისგან, რომელსაც უკავშირდება პირველ რიგში სირიასა და ერაყში ათასობით მშვიდობიანი მოქალაქის განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობა თუ კაცობრიობის წინაშე ჩადენილი უამრავი დანაშაული.

თავი II

საქართველოში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების განმაპირობებელი ფაქტორები

როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ,საქართველოში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების პროცესში შეგვიძლია გამოვყოთ ორი ეტაპი:პირველი-XX საუკუნის 90-იანი წლები,როდესაც ქვეყნის ტერიტორიაზე,განსაკუთრებით კი პანკისის ხეობაში გავრცელება დაიწყო ვაჰაბიზმის ტრადიციულმა,კლასიკურმა მიმართულებამ და მეორე-განსაკუთრებით XXI საუკუნის მეორე ათწლეულიდან ისლამური ფუნდამენტალიზმის რადიკალური, ექსტრემისტული მიმართულების გავრცელება,რომელიც პანკისის ხეობასთან ერთად შეეხო ქართველ მუსლიმებსაც და გარკვეულწილად ქვემო ქართლში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებსაც. "ფუნდამენტალისტური" მიმართულების ვაჰაბიზმის გავრცელება მჭიდროდ არის დაკავშირებული დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოსთან",რომელმაც 2014 წლის ივნისში გამოაცხადა „ისლამური ხალიფატის" შექმნა და წლის მიწურულისათვის საკუთარ კონტროლქვეშ მოაქცია სირიისა და ერაყის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი.ნაშრომში უმთავრეს ყურადღებას დავუთმობთ სწორედ მეორე ეტაპს. ვიდრე უშუალოდ დავიწყებთ პრობლემის გამომწვევი მიზეზების განხილვას, თავდაპირველად მოგაწვდით აღწერითი ხასიათის ინფორმაციას საქართველოს მუსლიმური თემის შესახებ.

ქართულ სახელმწიფოს ისლამთან და ისლამურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირი აქვს პრაქტიკულად ამ რელიგიის შექმნის პირველივე ათწლეულებიდან. საუკუნეების განმავლობაში ქვეყანა უშუალოდ ესაზღვრებოდა მუსლიმურ სახელმწიფოებს, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამის გავრცელების შემდეგ, აღმოჩნდა რეალურად ყოველმხრივ მუსლიმურ გარემოცვაში. აუცილებლად უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი, რომ საქართველო არა მხოლოდ ესაზღვრებოდა ისლამურ ქვეყნებსა თუ იმპერიებს/სპარსეთი და ოსმალეთი/, არამედ ხშირ შემთხვევაში, მოქცეული იყო მათი უშუალო გავლენის ქვეშ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით ეხებოდა განაპირა რეგიონებს.

ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა მრავალრიცხოვანი მუსლიმური თემი, რომელიც შედგება როგორც ეთნიკური ქართველებისაგან, ისე სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთაგან.

დღეისათვის გამოიყოფა მუსლიმი მოსახლეობის განსახლების სამი ძირითადი არეალი: ქვემო ქართლი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და პანკისის ხეობა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აჭარა წარმოადგენდა ერთადერთ რელიგიურ ნიადაგზე შექმნილ ავტონომიურ წარმონაქმნს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, მუსლიმი აღმსარებლობის მოქალაქეები შეადგენენ ქვეყნის მოსახლეობის 10,7%-ს ანუ საუბარია 398 700 ადამიანზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად, ისინი რეგიონების მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირად: ქვემო ქართლში ცხოვრობს 182 216 მუსლიმი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში -132 852, ხოლო პანკისის ხეობაში - 5581.

რაც შეეხება მონაცემებს კონკრეტული მუნიციპალიტეტების მიხედვით, აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას გვაწვდის რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ მომზადებული საქართველოს რელიგიური რუკა (http://religion.geo.gov.ge/statmaps/). პირველ რიგში შევეხებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, სადაც, როგორც ავღნიშნეთ, ისლამის აღმსარებელთა რიცხვია 132 852, რაც შეადგენს რეგიონის მოსახლეობის 39,79%-ს, ხოლო მართლმადიდებელთა რიცხვი არის 182 041,ანუ 54,52%. საუბარს დავიწყებთ ხულოს მუნიციპალიტეტით. აქ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მუსლიმია-94,64%, რაც შეეხება შუახევს, მუსლიმები შეადგენენ 74,44%-ს;მაღალია მუსლიმთა ხვედრითი წილი ქედაშიც-62,16%; მოსახლეობის უმრავლესობა მუსლიმია ხელვაჩაურშიც-56,36%; რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა ქობულეთსა და ბათუმში-პირველ მათგანში ისლამის აღმსარებელია მხოლოდ 28,85%, ხოლო ბათუმში ფიქსირდება ავტონომიის ფარგლებში მუსლიმთა ყველაზე დაბალი პროცენტული მაჩვენებელი-25,36%. აჭარაში ოსმალეთის იმპერიის ფაქტორიდან გამომდინარე გავრცელებულია სუნიტური ისლამი, კონკრეტულად-ჰანაფიტური საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლა, რომელიც

არის „ყველაზე მოქნილი სიახლეების(მათ შორის დასავლეთიდან შემოსულის) დანერგვის მიმართ“(გაჩეჩილაძე:111).

რაც შეეხება ქვემო ქართლს, ეთნიკური შემადგენლობა წარმოდგენილია შემდეგნაირად - მოსახლეობის 44,7% ქართველია, 45,1%-აზერბაიჯანელი.როგორც აღვნიშნეთ რეგიონში ცხოვრობს 182 216 მუსლიმი, ანუ მთელი მოსახლეობის 42,99%. ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით მათი ხვედრითი წილი არის შემდეგი: მარნეული-83,21%, ბოლნისი-62,89%, დმანისი-64,21%, ისლამი ყველაზე ფართოდ გავრცელებული რელიგიაა წალკის მუნიციპალიტეტშიც, მისი მიმდევარია მოსახლეობის 39,16%. რეგიონის დანარჩენ მუნიციპალიტეტებში ისლამი აღარ წარმოადგენს დომინანტ რელიგიას-გარდაბანში-42,93%, თეთრიწყაროში-10,88%, ხოლო ადმინისტრაციულ ცენტრ-ქალაქ რუსთავში ისლამის აღმსარებელია მოსახლეობის მხოლოდ 3,65%. ქვემო ქართლში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა უდიდესი ნაწილი არის შიიტური ისლამის მიმდევარი,თუმცა ანალიტიკოსები საუბრობენ უკანასკნელ წლებში რეგიონში ვაჰაბიზმის გავრცელების შესახებაც.

პანკისის ხეობა ადმინისტრაციული დაყოფის თანახმად მოქცეულია ახმეტის მუნიციპალიტეტის ფარგლებში. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით აქ მცხოვრები სუნიტური ისლამის მიმდევარი ქისტები დომინანტ ეთნოსს წარმოადგენენ ხეობის რვა სოფელში: ომალო-97%, შუა ხალაწანი-96%,ბირკიანი-93%, ჯოყოლო-79%,დუისი-78%, წინუბანი-77%, ქვემო ხალაწანი-75% და ზემო ხალაწანი-71% http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/census/2002/II%20tomi%20.pdf

გვ.92-95). მართალია აქ მცხოვრები ქისტების რიცხვი (5581) განუზომლად მცირეა ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა თუ ქართველ მუსლიმებთან შედარებით, თუმცა გამომდინარე მთელი რიგი ფაქტორებიდან, სწორედ პანკისის ხეობა გადაიქცა საქართველოში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების მთავარ კერად. აღნიშნულ მიზეზთა შესახებ დაწვრილებით ვისაუბრებთ ოდნავ მოგვიანებით.

ზემოაღნიშნული მონაცემები ასახავს ქვეყანაში მცხოვრებ მუსლიმი აღმსარებლობის მოქალაქეთა რაოდენობას, რაც შეეხება ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევართა რიცხვს, მათ შესახებ ოფიციალური ინფორმაცია არ

მოიპოვება. როგორც ჩვენთან საუბარში „რეგიონალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელმა მამუკა არეშიძემ განაცხადა,დღეის მდგომარეობით,საქართველოში ვაჰაბიზმის მიმდევარია დაახლოებით 2000 ადამიანი.მათი რიცხვი განსაკუთრებით მაღალია პანკისის ხეობაში, სადაც აღნიშნული რწმენის აღმსარებელია ახალგაზრდობის 60-65%.აჭარისა და ქვემო ქართლის შემთხვევაში ზუსტი რიცხვის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია. არეშიძის განცხადებით აღნიშნულ რეგიონებში ვაჰაბიზმის ცენტრებია ბათუმი და გარდაბანი.

ამგვარად, მართალია, ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევარია საქართველოს მუსლიმური თემის მხოლოდ მცირე ნაწილი, თუმცა ამგვარი მასშტაბებით გავრცელების პირობებშიც კი აღნიშნული ფენომენი ქართული სახელმწიფოს წინაშე აყენებს მნიშვნელოვან გამოწვევებს; ამიტომაც, ვფიქრობთ, აუცილებელია პრობლემის გამომწვევი კომპლექსური მიზეზების დეტალური ანალიზი,რათა სრულფასოვნად გავერკვეთ საკითხის არსში!

§2.1 პოლიტიკური სოციალიზაცია

როგორც აღვნიშნეთ,საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში „ფუნდამენტალისტური“ მიმართულების ვაჰაბიზმის გავრცელების უმთავრეს მიზეზად მივიჩნევთ ამ პიროვნებათა წარუმატებელ პოლიტიკურ სოციალიზაციას. აღნიშნული ცნების შესახებ მსჯელობას დავიწყებთ თავად ტერმინის განმარტებით. როგორც თომას მაგშტადტი აღნიშნავს „პოლიტიკური სოციალიზაცია არის პროცესი,რომელშიც მოქალაქეს უყალიბდება ღირებულებები,შეხედულებები და აზრები, რომელთა საშუალებითაც მათ შეუძლიათ პოლიტიკურ სისტემას დაეხმარონ“(მაგშტადტი,2010,გვ.314).პოლიტიკური სოციალიზაცია საყოველთაო მოსაზრებით წარმოადგენს სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას. გამომდინარე ნაშრომის სპეციფიკიდან,ჩვენ,უპირველეს ყოვლისა, გვაინტერესებს სოციალიზაციის ცნების მიმართება უმცირესობის სტატუსთან, რადგან კვლევის ობიექტს წარმოადგენენ როგორც ქართველი მუსლიმები,ასევე პანკისელი ქისტები და ქვემო ქართლში მცხოვრები აზერბაიჯანელები. ეთნიკურ უმცირესობათა

სოციალიზაციის პროცესის შესაფასებლად მნიშვნელოვანი ინდიკატორია სახელმწიფო ენის ცოდნის მაჩვენებელი.2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების თანახმად,ქვემო ქართლში მცხოვრები 176 417 აზერბაიჯანელიდან ქართულ ენას თავისუფლად ფლობს მხოლოდ 18 983 მოქალაქე,არ არის მონაცემი 11 158 პირის შესახებ,ხოლო 146 276 ადამიანი აცხადებს, რომ თავისუფლად არ ფლობს სახელმწიფო ენას (http://census.ge/ge/results/census1/demo). როდესაც კომპაქტურად განსახლებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა შორის ასეთი დაბალია სახელმწიფო ენის ცოდნის მაჩვენებელი,ბუნებრივია,ზედმეტია საუბარი წარმატებული პოლიტიკური სოციალიზაციის შესახებ. შედეგად კი ადამიანებს უჩნდებათ განცდა,რომ ისინი წარმოადგენენ მეორეხარისხოვან მოქალაქეებს და ხდება მათი გაუცხოება ქართულ სახელმწიფოსთან. მსგავსი ვითარება, ბუნებრივია,ქმნის ნოყიერ ნიადაგს დაინტერესებული ჯგუფებისათვის გაავრცელონ საკუთარი რადიკალური იდეოლოგია.

რაც შეეხება ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ კიდევ ერთ ჯგუფს-ქისტებს,რომლებიც კომპაქტურად განსახლებულნი არიან პანკისის ხეობაში.ამ შემთხვევაში,მართალია, არ არსებობს ოფიციალური მონაცემები სახელმწიფო ენის ფლობასთან დაკავშირებით, თუმცა მკვლევარები თანხმდებიან იმის შესახებ, რომ „ქისტები სხვა ეთნიკური უმცირესობებისაგან განსხვავებით, ყველაზე ინტეგრირებულ ეთნოსად ითვლება“და მათთან დაკავშირებით პრაქტიკულად არ დგას სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემა. აღნიშნული თემის წარმომადგენელთა პოლიტიკურ სოციალიზაციასთან დაკავშირებით,ვფიქრობთ,დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესის ერთ-ერთ უმთავრეს შემადგენელ ნაწილს-უმაღლესი განათლების გავლენას.როგორც ცნობილია,საქართველოში არ არსებობს სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად აღიარებული უმაღლესი რელიგიური სასწავლებელი,სადაც დაინტერესებული ადამიანები მიიღებენ სრულფასოვან ინფორმაციას ისლამის შესახებ. ქვეყნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მხოლოდ მუსლიმური პანსიონები,სადაც სწავლობენ სასკოლო ასაკის ბავშვები,ხოლო ვისაც სურვილი აქვს გაიღრმავოს მიღებული თეოლოგიური ცოდნა, იძულებული ხდება მიმართოს საზღვარგარეთ არსებულ რელიგიურ სასწავლებლებს, სადაც მაღალია ფუნდამენტალისტური იდეების გავლენის ქვეშ მოქცევის ალბათობა. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია მუსლიმური

თემის წარმომადგენელთათვის საქართველოში არსებობდეს სასულიერო აკადემია და სემინარია,სადაც სასწავლო პროცესს ზედამხედველობას გაუწევს სახელმწიფო,რაც დიდად შეუწყობს ხელს ფუნდამენტალისტური განწყობების შემცირებას.

რაც შეეხება ქართველ მუსლიმთა პოლიტიკური სოციალიზაციის საკითხს.როგორც აღვნიშნეთ,მათი აბსოლუტური უმრავლესობა არის ტრადიციული ისლამის მიმდევარი და არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს სახელმწიფოსთვის, თუმცა,სამწუხაროდ,არსებობენ რადიკალური ფუნდამენტალისტური იდეების გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანებიც,რომელთა იდენტობის მთავარი განმსაზღვრელია არა ეთნიკური,არამედ რელიგიური ფაქტორი. როგორც კავკასიოლოგი ალეკო კვახაძე აცხადებს,მათი რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 100 ადამიანს; „მათი აგრესია პირდაპირ მიმართულია საქართველოსა და ქართული იდეის წინააღმდეგ, მათი მიზანია აჭარის დანარჩენი საქართველოსგან გამოყოფა და „ისლამური სახელმწიფოს“ მაგვარი ანკლავის შექმნა,სადაც შარიათის კანონებით იცხოვრებენ...ისინი უარყოფენ ყველაფერს, რაც საქართველოს და ქართულს ეხება(http://accent.com.ge/ge/news/details/2737). ქართველ მუსლიმთა რადიკალიზაციის პროცესში აღნიშნული თემის დანარჩენი წარმომადგენლების მსგავსად,ბუნებრივია მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგიური განათლების საზღვარგარეთ მიღების ფაქტები.აღნიშნული პროცესის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის 2015 წლის 30 ნოემბერს გამოქვეყნებული სტატია-„ქართველი მუსლიმები აჭარიდან- "საქართველოსთვის შევაკვდებით ყველას". მასში ძირითადი ყურადღება ეთმობა აჭარაში „უცხოელი რელიგიური ემისრების“ საქმიანობასა და ქართველი ახალგაზრდების გამგზავრებას უცხოურ /ძირითადად თურქეთის რესპუბლიკის/ რელიგიურ სასწავლებლებში.როგორც სტატიაშია აღნიშნული, უცხოელ ემისართა აქტიურობამ ერთგვარ პიკს მიაღწია 2010 წელს,როდესაც „აჭარაში მეჩეთების, ჯამეების და მედრესეების რეკორდული რაოდენობა აშენდა“;სტატიაში ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივ მცხოვრებს მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, თუ როგორ მოექცა რადიკალი ფუნდამენტალისტების გავლენის ქვეშ თურქეთში სასწავლებლად წასული ერთ-ერთი ახალგაზრდა,რომელიც „თურქებმა სხვა ბავშვებთან ერთად წაიყვანეს სტამბოლში.იქ სწავლობდა რამდენიმე წელი. შეიცვალა - ჩაიკეტა,

გაცივდა. დაბრუნდა და თითქოს ადგილს ვერ პოულობდა, ძველ მეგობრებთან ვერ ურთიერთობდა.მუსლიმებს ეჩხუბებოდა ხშირად... გაირკვა,რომ ჯერ კიდევ თურქეთში სწავლისას ინტერნეტით გააბეს მასთან ურთიერთობა ექსტრემისტული რელიგიური ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.ისინი უმღვრევდნენ ტვინს, ეუბნებოდნენ,რომ ქართველი მუსლიმები დამახინჯებულად ადიდებენ ალაჰს“ (https://www.kvirispalitra.ge/public/27545-qarthveli-muslimebi-atcaridan-qsaqarthvelosthvis-shevakvdebith-yvelasq.html?device=xhtml). მართალია,საბედნიეროდ, ამგვარ შემთხვევათა რიცხვი არ არის მაღალი,თუმცა ცხადია,სახელმწიფომ უნდა მიმართოს ყველა ღონეს,რათა მსგავსი ფაქტები შემცირდეს მინიმუმამდე.

ქართველი მუსლიმების პოლიტიკური სოციალიზაციისა და მათი საზოგადოებასთან სრულფასოვანი ინტეგრაციის საკითხზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით იმ „გაუცხოების პრობლემას“,რომელიც არსებობს მათსა და ქართველ მართლმადიდებელთა გარკვეულ ნაწილს შორის. როგორც იმავე სტატიაში თეოლოგი ვლადიმერ ნარსია აცხადებს: „გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში ნაციონალიზმი და რელიგიური ნარატივი ერთმანეთთან გაიგივდა, ანუ ქართველი და მართლმადიდებელი გახდა ერთი და იგივე.თითქოს სხვას ქართველობის უფლება არ ჰქონდა.ასეთი მიდგომა არსებობს დღემდე და შექმნა გაუცხოების პრობლემა“. მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი,სამწუხაროდ, ვერ აცნობიერებს იმ ჭეშმარიტებას, რის შესახებაც ჯერ კიდევ 1920 წელს საუბრობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა-„ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება ხელს შეუშლის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველების ერთობას.რჯული რჯულია,მაგრამ სისხლი და ეროვნება კიდევ სხვაა... მაჰმადის რჯული ჩვენი ძმების რჯულია და მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ მას. პატივს უნდა ვცემდეთ ყოველი ადამიანის რჯულს, მით უფრო, ძმისას. უნდა გავიმეოროთ კიდევ ერთხელ: რჯული სხვადასხვა გვაქვს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს, მაგრამ ორივენი ერთი საქართველოს შვილები ვართ.ერთი ენა,ერთი სისხლი, ერთი ხასიათი გვაქვს. ჩვენი ძალა შეერთებაშია.ბედნიერებას მხოლოდ ერთობა და ძმობა მოგვიტანს“(რელიგიები საქართველოში:გვ.322).

მიუხედავად იმისა,რომ საქართველოში რელიგიური ნიშნით დისკრიმინაცია არ ატარებს სისტემურ ხასიათს,უკანასკნელ წლებში მომხდარი გახმაურებული შემთხვევები ადასტურებს,რომ ამ მიმართულებით პრობლემები მართლაც არსებობს.ჩვენ მოკლედ მიმოვიხილავთ რამდენიმე მათგანს. უპირველეს ყოვლისა დავიწყებთ 2014 წლის ოქტომბერში ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში მომხდარი ინციდენტით.მას შემდეგ რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ გააპროტესტა მეჩეთის ნანგრევების დემონტაჟი, სამრთალდამცავმა ორგანოებმა გამოიყენეს არაპროპორციული ძალა და დააკავეს 14 ადგი-ლობრივი მცხოვრები.როგორც მათ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის თანამშრომლებს განუცხადეს, პოლიციის თანამშრომლები აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას და „თათრებს“ უწოდებდნენ (http://www.tdi.ge/ge/news/126-sopel-moxeshi-ganvitarebuli-movlenebis-analizi). ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურის თანამშრო-მელთა მიერ მსგავსი სიძულვილის ენის გამოყენება,რა თქმა უნდა,წარმოადგენს უაღრესად ნეგატიურ ფაქტს,რომელიც იწვევს მუსლიმი აღმსარებლობის მოქალაქეთა გაუცხოებას სახელმწიფოსთან და ხელს უწყობს რადიკალურ ჯგუფებს ისაუბრონ მათი „დამცირებული და დაკნინებული“ მდგომარეობის შესახებ.დაახლოებით მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი 2013 წლის აგვისტოში იმავე მუნიციპალიტეტის სოფელ ჭელაშიც, სადაც ხელისუფლების მიერ მინარეთის დემონტაჟს მოჰყვა ქართველ მუსლიმთა პროტესტი. მათ პოლიციამ მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა-„აჭარლებო, თქვე თათრებო, თქვენი დროც დამთავრდაო-გვეუბნებოდნენ“,აცხადებს ერთ-ერთი ადგილობრივი მკვიდრი. სამართალდამცავი უწყების თანამშრომელთა მიმართ მძიმე ბრალდებებს აჟღერებენ სხვა ქართველი მუსლიმებიც-„მითხრეს, რომ უნდა მოვინათლო და არ უნდა ვიყო მუსლიმი“, „როდესაც გამომძიებელთან მივედი,მან მითხრა,რომ ქართველები მარტო ქრისტიანები უნდა იყვნენ“(http://dfwatch.net/ჭელას-მინარეთის-კონფლიქტ-25916). განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014 წლის 10 სექტემბერს ქობულეთში მომხდარი ინციდენტი, როდესაც ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მუსლიმური პანსიონის შესასვლელის კარზე ღორის თავი მიაჭედეს. რელიგიური გრძნობების მსგავსი უხეში ფორმით შეურაცხყოფამ,ბუნებრივია, გამოიწვია საყოველთაო აღშფოთება. როგორც მუსლიმთა სამმართველოს მუფთმა ჯემალ პაქსაძემ

განაცხადა-„მართლა შეურაცხყოფილები ვართ. ძალიან ცუდი ფაქტია; ასეთი რამ არ მომხდარა არცერთ საუკუნეში“ (https://old.civil.ge/geo/article.php?id=28672). მომხდარი ფაქტი, როგორც „რელიგიური შეუწყნარებლობისა და რელიგიური ნიშნით დაპირისპირების მცდელობა“,მკაცრად დაგმო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა,თუმცა მისი დაპირება ყველა დამნაშავის „კანონის მთელი სიმკაცრით“ დასჯის შესახებ, არ იქნა შესრულებული.ისევე როგორც, არ იქნენ დასჯილნი მოხესა თუ ჭელას ინციდენტებში მონაწილე პირები,რაც,ბუნებრივია, ამცირებს მუსლიმური თემის წარმომადგენელთა ნდობის მაჩვენებელს სახელმწიფოს მიმართ.

გამომდინარე პოლიტიკური სოციალიზაციის ფენომენის დიდი მნიშვნელობიდან, არ არის საკმარისი მხოლოდ მუსლიმური პანსიონების არსებობა,სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული თემის წარმომადგენელთათვის ქვეყნის ტერიტორიაზე უმაღლესი სასულიერო სასწავლებლის არსებობა, სადაც დაინტერესებულ პირებს ექნებათ შესაძლებლობა მიიღონ სრულყოფილი თეოლოგიური განათლება.გარდა ამისა,მნიშვნე-ლოვანია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მოსახლეობის, განსაკუთრებით კი საჯარო მოხელეების მოქალაქეობრივი თვითშეგნების ამაღლების კუთხით.

ამგვარად,სწორედ წარუმატებელმა პოლიტიკურმა სოციალიზაციამ მისცა შესაძლებლობა დაჯგუფება „ისლამურ სახელმწიფოს“ მაღალპროფესიული საინფორმაციო-პროპაგანდისტური კამპანიის შედეგად საკუთარი მსოფლმხედველობა გაევრცელებინა საქართველოს მუსლიმი აღმსარებლობის მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილში.

§2.2 პროპაგანდა ისლამური ფუნდამენტალიზმის სამსახურში

რაც შეეხება უშუალოდ „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ინტერნეტის და განსაკუთრებით სოციალური ქსელების მეშვეობით აქტიურად წარმოებულ მასშტაბურ საინფორმაციო-პროპაგანდისტურ კამპანიას. ISIS-ის პროპაგანდისტური „მანქანა“ აღმოჩნდა იმდენად მძლავრი,რომ მთელი რიგი მკვლევარები საუბრობენ „ვირტუალური ხალიფატის“ ფენომენის შესახებ,რომელიც გაცილებით სიცოცხლისუნარიანია „რეალურ ხალიფატთან“ შედარებით; ის დღესაც აგრძელებს

საქმიანობას, მაშინ როდესაც „ისლამური სახელმწიფო“, საბედნიეროდ, ვეღარ აკონტროლებს იმ ტერიტორიების უდიდეს ნაწილს, რომლებიც 2014-15 წლებისათვის მოქცეული იყო მის საზღვრებში.ამიტომაც,ვფიქრობთ აუცილებელია „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდის დეტალური განხილვა.

ISIS-ის პროპაგანდისტური სტრატეგიის გაანალიზებას დავიწყებთ დორიან ლეფინკის ნაშრომით-*„ისლამური სახელმწიფოს რეკრუტირების პროპაგანდა“(Recruitment Propaganda of the Islamic State*),მოცემულ კვლევაში ავტორი აანალიზებს „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდის ხასიათს და გამოჰყოფს იმ ოთხი სახის ნარატივს, რომლებიც განსაკუთრებულ როლს ასრულებენ მხარდამჭერთა მობილიზაციის პროცესში: 1-The Winners Message(გამარჯვებულის გზავნილი)-ამ გზით „ხალიფატი“ ცდილობს დაარწმუნოს პოტენციური თანამებრძოლები მის ძლევამოსილებაში; 2-Muslim Victimhood(მუსლიმთა ჩაგვრა)-ეს ნაწილი აქცენტირებას ახდენს იმ პერმანენტულ ძალადობაზე,რომელსაც მუსლიმები განიცდიან დასავლური სამყაროს მხრიდან.ამიტომ შეუძლებელია მათთან მშვიდობიანი თანაარსებობა და მართლმორწმუნე მუსლიმი ვალდებულია იბრძოლოს მისი მჩაგვრელების წინააღმდეგ; 3-რელიგიური ვალდებულება-„ხალიფატი“ რელიგიას იყენებს იძულების საშუალებად და არწმუნებს მუსლიმებს,რომ მათ ისლამი ავალდებულებს ISIS-ის მოკავშირეობას და ბოლოს მეოთხე ნარატივი-იდენტობა,რომელიც აქცენტირებულია ადამიანთა გარკვეულ ჯგუფთან მიკუთვნებულობის გრძნობაზე.რაც შეეხება უფრო ვრცლად თითოეულ მათგანს.

The Winners Message ნარატივში ავტორი გამოჰყოფს შემდეგ კომპონენტებს: 1-ძალადობა (Brutality) ამ გზით „ისლამური სახელმწიფო“ აჩვენებს,რომ შესწევს საკმარისი ძალა გაუსწორდეს მტრებს; 2-მოწყალება(Mercy), მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: თუკი ადამიანი გახდება „ისლამური სახელმწიფოს“ წევრი და აღიარებს აბუ ბაქრ ალ-ბაღდადის ქვეშევრდომობას, მას ყველა ადრინდელი შეცოდება მიეტევება; 3-ბრძოლის ველზე მიღწეული წარმატებები(Battlefield Success), ISIS დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მის მიერ მოპოვებული სამხედრო გამარჯვებების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელებას,რათა დაარწმუნოს ყველა, რომ ისინი ძალიან მალე გაიმარჯვებენ-„We are on the verge of winning”; და მოცემული ნარატივის ბოლო

კომპონენტი-ISIS როგორც უტოპია(Islamic State as Utopia),რომელიც ცდილობს „ისლამური სახელმწიფოს“ წარმოჩენას წარმატებით მოფუნქციონირე ქვეყნად,სადაც ხელისუფლება ახერხებს საზოგადოების ყველა ძირითადი მოთხოვნილების ეფექტურად დაკმაყოფილებას (Leppink,2017.pp.12-14).

„ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდის რიგით მეორე მნიშვნელოვან ასპექტად აღნიშნული ავტორი მიიჩნევს მუსლიმთა ჩაგვრის(Muslim Victimhood) ნარატივს და გამოჰყოფს მის სამ ძირითად კომპონენტს:1-ომის მსხვერპლნი(War Victims);2-დისკრიმინაცია და 3-შურისძიება და თავდაცვა(Revenge and Defence).პირველ მათგანში ISIS პერმანენტულად ადანაშაულებს რა „ჯვაროსნებს“ მშვიდობიანი მოსახლეობის დაღუპვაში,ცდილობს საკუთარი ქმედებები გაამართლოს როგორც თავდაცვითი ბრძოლა,რომელშიც „ისლამური სახელმწიფოს“ მიზანია დაიცვას საკუთარი მშვიდობიანი მოსახლეობა.რაც შეეხება მეორე კომპონენტ დისკრიმინაციას,მის თანახმად დასავლურ სამყაროში მცხოვრები მუსლიმები ადგილობრივი ხელისუფლებისაგან განიცდიან მუდმივ შევიწროებას და არა აქვთ შესაძლებლობა იცხოვრონ საკუთარი რელიგიური ტრადიციების შესაბამისად.მესამე კომპონენტით კი „ხალიფატი“ მიზნად ისახავს საკუთარი ქმედებები გაამართლოს როგორც შურისძიება დასავლური სამყაროს მიმართ,რომელიც იბრძვის ისლამის წინააღმდეგ (Leppink:14-16).

ISIS-ის პროპაგანდის მესამე მნიშვნელოვან ნარატივად დ.ლეფინკი მიიჩნევს „რელიგიურ მოვალეობას“. „ისლამური სახელმწიფო“ ცდილობს დაამკვიდროს შეხედულება,რომ ყველა მუსლიმის რელიგიური ვალდებულებაა მოახდინონ ჰიჯრა „ხალიფატში“. ამ ნარატივში გამოიყოფა 2 ელემენტი:დასჯა და წახალისება.თუკი ადამიანი შეუერთდება „ისლამურ სახელმწიფოს“ რიგებს,ის დაჯილდოვდება როგორც ამქვეყნიურ ცხოვრებაში, ისე გარდაცვალების შემდეგ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მას მოელის მკაცრი სასჯელი (იქვე გვ.16).

რაც შეეხება ბოლო დომინანტ ნარატივს-იდენტობას.ის არწმუნებს ადამიანებს,რომ წარმოშობის მიუხედავად „ისლამური სახელმწიფო“ სიხარულით მიიღებს ყველას და რომ ისინი იქნებიან ერთმანეთის ძმები. ISIS-ის მებრძოლთა ყოველდღიური ცხოვრების შესახებ დაჯგუფების მიერ მომზადდა მრავალი პროპაგანდისტური ფილმი,რომლებშიც სხვადასხვა რასისა თუ ეროვნების ადამიანები

საუბრობენ მათ შორის არსებული მეგობრუ-ლი,ძმური ურთიერთდამოკიდებულების შესახებ(იქვე გვ.17). ამგვარად,“ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდისტური მანქანა ადამიანთა გადაბირებას ცდილობს შემდეგი მოსაზრებებით:1-ისინი არიან ძლიერები და სულ მალე გაიმარჯვებენ; 2-მუსლიმები იჩაგრებიან მსოფლიოს ყველა წერტილში; 3-ISIS-ში გაწევრიანება არის ყველა მუსლიმის რელიგიური მოვალეობა,წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მოელით მკაცრი სასჯელი;4-„ისლამურ სახელმწიფოში“ მათ დახვდებათ მეგობრული,ძმური გარემო; 5-„ხალიფატი“ არ არის აგრესორი,ის აწარმოებს თავდაცვით ომს ჯვაროსნების წინააღმდეგ. აღნიშნული გზავნილები ნათლად იკითხება 2015 წლის 23 ნოემბერს გავრცელებულ ISIS-ის ქართველი მებრძოლების ვიდეო-მიმართვაშიც, რომელსაც ოდნავ მოგვიანებით დეტალურად განვიხილავთ.

„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ წარმოებულ პროპაგანდისტურ კამპანიაზე მსჯელობს რიჩარდ ბარეტიც ნაშრომში-„The ISLAMIC STATE”. ის მაღალ შეფასებას აძლევს ორგანიზაციის მედია დეპარტამენტის საქმიანობას და აღნიშნულ მიმართულებას ანიჭებს უდიდეს მნიშვნელობას.ცენტრალიზებული მედია-საშუალებების გარდა ISIS-ს ყოველ პროვინციაში გააჩნია ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები,რომლებიც ორიენტირებულნი არიან ძირითადად ლოკალურ თემატიკაზე. დასავლურ სამყაროსთან კომუნიკაციის კუთხით ავტორი მთავარ როლს ანიჭებს „Al Hayat Media Center“-ს. ეს არის მრავალენოვანი პროპაგანდისტური არხი,რომელიც სხვადასხვა გზებით ცდილობს ადამიანთა გადმობირებას-აჩვენებს „ისლამურ სახელმწიფოში“მყოფთა ყოველდღიურ ცხოვრე-ბას,საბრძოლო მოქმედებებს სირია-ერაყის ტერიტორიაზე,მებრძოლთა მოწმობებს ISIS-ში გაწევრიანების შესახებ და ა.შ. „Al Hayat“ ასევე ინგლისურად თარგმნის „ისლამური სახელმწიფოს მიერ არაბულ ენაზე გავრცელებულ მედია-მატერიალს (Barrett,2014.pp.51-55).

საინფორმაციო-პროპაგანდისტურ კამპანიაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ჟურნალი-“DABIQ”. რადიკალური ისლამის მკვლევარი ამერიკული ორგანიზაცია „Clarion Project“ გვთავაზობს როგორც აღნიშნული ჟურნალის გარკვეულ ნომრებს,ასევე ყველა გამოცემის მოკლე მიმოხილვას.ვფიქრობთ,მნიშვნელოვანია მათი გაცნობა,რათა

სრულყოფილი წარმოდგენა შეგვექმნას ISIS-ის მაღალპროფესიული პროპაგანდისტური „მანქანის" შესახებ. როგორც ცნობილია ჟურნალ „DABIQ"-ის გამოცემა დაიწყო „ხალიფატის" გამოცხადებიდან მალევე,კერძოდ კი 2014 წლის ივლისიდან.პირველ რიგში უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტი,რომ თავად ჟურნალის სახელწოდება არ არის შემთხვევითი,პირიქით წარმოადგენს კარგად მოფიქრებულ ნაბიჯს.როგორც ირკვევა,თურქეთ-სირიის საზღვარზე მდებარე ქალაქი დაბიქი წარმოადგენს საკრალური დატვირთვის მქონე ადგილს -„წინასწარმეტყველების თანახმად, სწორედ აქ უნდა მოხდეს მუსლიმებისა და რომაელების (ქრისტიანების) გადამწყვეტი ბრძოლა, რომელსაც განკითხვის დღე მოჰყვება. ამის შემდეგ მორწმუნენი სამოთხის ნეტარებას ეზიარებიან, ხოლო უღმერთოები და ცოდვილები სამარადჟამო ტანჯვაში ჩაცვივდებიან. ეს წინასწარმეტყველება „ხალიფატის" პროპაგანდის ძლიერ იარაღად იქცა, რადგან „ისლამური სახელმწიფო" მსოფლიო მუსლიმებს შთააგონებდა, სწორედ „ხალიფატის" მეომრები გახდებიან ამ გადამწყვეტი ბრძოლის მონაწილეებიო" (https://www.kvirispalitra.ge/versia/39105-isis-is-qqarthuliq-simboloebi.html). ამიტომაც არ არის გასაკვირი ის ფაქტი,რომ ჟურნალის ყოველ ნომერს წამძღვანებული აქვს შემდეგი ფრაზა: „The spark has been lit here in Iraq, and its heat will continue to intensify –by Allah's permission – until it burns the crusader armies in Dābiq"- ნაპერწკალი,რომელიც აინთო ერაყში,ალაჰის ნებართვით გაძლიერდება იმდენად,სანამ არ დაწვავს ჯვაროსანთა არმიებს დაბიქში.

რაც შეეხება უშუალოდ ჟურნალ "DABIQ"-ის შინაარსს.პირველ ნომერში აქცენტირება ხდება ხალიფასა და ისლამური ხალიფატის „დაბრუნებაზე".როგორც ღირსშესანიშნავ მოვლენაზე,რომელსაც მუსლიმები საუკუნეების მანძილზე ელოდებოდნენ.*მეორე* გამოცემაში ISIS იყენებს მითს წარღვნის შესახებ და ცდილობს მუსლიმთა დარწმუნებას,რომ მათი გადარჩენის ერთადერთ გზას წარმოადგენს „ხალიფატის" შემადგენლობაში ყოფნა, რაც მეტაფორულად შედარებულია ნოეს კიდობანთან, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი აუცილებლად დაიღუპებიან.*მესამე* ნომერში საუბარია იმის შესახებ,რომ მუსლიმებმა რაც შეიძლება მალე უნდა მოახდინონ ჰიჯრა „ისლამურ სახელმწიფოში".ჟურნალის *მეოთხე* გამოცემა გვაწვდის ინფორმაციას ISIS-ის წინააღმდეგ დასავლური კოალიციის წარუმატებელი ბრძოლის შესახებ, მთავარ

გრაფიკულ გაფორმებას წარმოადგენს რომის წმინდა პეტრეს მოედანზე აღმართული „ისლამური სახელმწიფოს“ დროშა. *მეხუთე* ნომრის მთავარი თემებია ISIS-ის ტერიტორიული გაფართოება არაბეთის ნახევარკუნძულსა და ჩრდილოეთ აფრიკაში,ასევე ორგანიზაციის მიერ ახალი ფულადი ერთეულის-ოქროს დინარისა და ვერცხლის დირჰამის შექმნა.აღსანიშნავია ასევე „DABIQ”-ის *მერვე* გამოშვებაც, რომელშიც საუბარია „ისლამური სახელმწიფოს“ სამხედრო-პოლიტიკურ წარმატებებზე აფრიკის კონ-ტინენტზე,ასევე ალიანსის შექმნაზე ერთ-ერთ უძლიერეს ტერორისტულ დაჯგუფება „ბოკო ჰარამთან“. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა 2015 წლის 13 ივლისს გამოქვეყნებული „DABIQ”-ის *მეათე* გამოცემა,რომელიც იუწყება ISIS-ის კავკასიის ვილაიეთის შექმნის შესახებ,რომლის ხელმძღვანელადაც ხალიფამ დანიშნა შეიხი აბუ მუჰამედ ალ-კადარი.აქვე მოყვანილია კავკასიელი მოჯაჰედების ოფიციალური მიმართვის ტექსტი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადისადმი.მოკლედ შევეხებით ასევე ჟურნალის *მეცამეტე* გამოცემას,რომელშიც მძაფრად არის გაკრიტიკებული საუდის არაბეთის მმართველი რეჟიმი აშშ-სთან თანამშრომლობის გამო. განსაკუთრებით მკაცრ დამოკიდებულებას ავლენს „ხალიფატი“ ირანის ისლამურ რესპუბლიკის და ზოგადად შიიტთა მიმართ; მათ მოიხსენიებს ტერმინით „RAFIDAH”,რაც ნიშნავს უარმყოფელს,აგრეთვე ადანაშაულებს ისლამის წინააღმდეგ ფარული ომის წარმოებასა და „ჯვაროსანთა“ მოკავშირეობაში. „ისლამური სახელმწიფო“ მკაცრად გმობს რა შიიზმს, საკუთარ მიმდევრებს ღიად მოუწოდებს აღნიშნული რწმენის აღმსარებელთა განადგურებისაკენ. *მეთოთხმეტე* გამოშვებაში „ისლამური სახელმწიფო“ მძაფრად ილაშქრებს ეგვიპტეში არსებული „მუსლიმური ძმობის“ წინააღმდეგ და მათ ადანაშაულებს „აპოსტატში“-ღმრთისგან განდგომაში.ამგვარად ISIS აფიქსირებს რა მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას სხვადასხვა ტიპის ისლამური ჯგუფებისა თუ რეჟიმები მიმართ,ცდილობს მუსლიმთა დარწმუნებას იმაში, რომ სწორედ „ისლამური სახელმწიფოა“ ის ერთადერთი ადგილი,რომელიც იცავს „წმინდა ისლამს“ და ცხოვრობს ალაჰის მიერ დადგენილი კანონების შესაბამისად.„DABIQ”-ის ბოლო *მეთხუთმეტე* ნომერში,რომელიც გამოქვეყნდა 2016 წლის 31 ივლისს,მძაფრად არის გაკრიტიკებული დასავლური სამყარო, რომელსაც ISIS მოიხსენიებს როგორც „ჯვაროსნებს“ და ადანაშაულებს

ისლამის წინააღმდეგ ომის წარმოებაში. აღნიშნული გამოცემა ორიენტირებულია აქტიურ პროზელიტისტურ კამპანიაზე და ცდილობს გაზარდოს დასავლურ სამყაროში ისლამის აღმსარებელთა რიცხვი; ამ მიმართულებით პირველ რიგში აღსანიშნავია პარაგრაფი „How I Came to Islam“, მასში მოთხრობილია ISIS-ის ფინელი ქალი რეკრუტის ისტორია,რომელიც აღწერს საკუთარ გამოცდილებას, აკრიტიკებს ქრისტიანობას, როგორც „ყალბ“ რელიგიას და მოუწოდებს მკითხველებს გამოიჩინონ გამბედაობა და შეუდგნენ „ისლამის გზას“, რაც საბოლოო ჯამში უნდა დასრულდეს ჰიჯრით-„ისლამურ სახელმწიფოში“ ემიგრაციით (https://clarionproject.org/islamic-state-isis-isil-propaganda-magazine-dabiq-50/). აღნიშნული ნომრის შემდეგ „DABIQ”-ის გამოშვება შეწყდა,რაც დიდად განაპირობა იმ ფაქტმა,რომ „ხა-ლიფატი“დამარცხდა დაბიქის ბრძოლაში,რაც მართალია დაჯგუფებისთვის დიდი დარტყმა აღმოჩნდა,თუმცა პროპაგანდისტურმა „მანქანამ“ კვლავ განაგრძო მუშაობა.დაიწყო ახალი მრავალენოვანი ონლაინ-ჟურნალ „Rumiyah”-ს გამოცემა.მისი პირველი ნომერი გამოქვეყნდა 2016 წლის სექტემბერში.ყოველ გამოშვებას წამძღვანებული აქვს შემდეგი სიტყვები- „მუვაჰიდებო,ჩვენ არ შევწყვეტთ ჯიჰადს მანამ,სანამ არ აღვმოჩნდებით ზეთისხილის ხეების ქვეშ რომში“. აღნიშნული ფრაზა ნათლად წარმოაჩენს „ისლამური სახელმწიფოს“ მსოფლმხედველობის არსს-იგი საკუთარ უმთავრეს მეტოქედ განიხილავს დასავლურ სამყაროს,რომელსაც მიიჩნევს რომის იმპერიის მემკვიდრედ. აქედან გამომდინარე მისთვის რომს გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა,რაც ნათლად ჩანს ჟურნალ „DABIQ”-ის მეოთხე გამოცემის ილუსტრაციაზეც,სადაც გამოსახულია რომში,წმინდა პეტრეს მოედანზე აღმართული „ისლამური სახელმწიფოს“ დროშა. თუმცა მსგავსი ღია მუქარის გაჟღერება რომის დაპყრობის შესახებ იყო რა თქმა უნდა წმინდა პროპაგანდისტური ნაბიჯი,რადგან ISIS-ს ძლიერების ზენიტშიც კი არ შესწევდა ძალა საკუთარი ექსპანსია განევრცო აღნიშნული მიმართულებით.რაც შეეხება ტერმინ მუვაჰიდის” განმარტებას,როგორც რევაზ გაჩეჩილაძე აღნიშნავს-„ვაჰაბიზმის მიმდევრები არ იყენებენ თვითსახელად „ვაჰაბიტს“: ისინი თავს მუვაჰიდუნს უწოდებენ,რაც ერთიანობის მომხრეს ნიშნავს”. ჩვენ მიზანშეწონილად არ მივიჩნევთ „Rumiyah”-ს სხვადასხვა გამოცემების დეტალურ განხილვას,რადგან მასში არ არის არავითარი არსობრივი სიახლე “DABIQ“თან შედარებით.

რაც შეეხება უშუალოდ „ისლამური სახელმწიფოს“ ქართველი მებრძოლების ვიდეო-მიმართვასა და მის ძირითად გზავნილებს. როგორც ცნობილია,ის გამოქვეყნდა 2015 წლის 23 ნოემბერს ISIS-ის საინფორმაციო-პროპაგანდისტური ბიურო „ფურატის“ მიერ.მასში მონაწილეობენ ხვიჩა გობაძე(22 წლის),ბადრი ირემაძე(32),მამუკა ანთაძე(23) და როინ პაქსაძე(20)(https://www.amerikiskhma.com/a/isis-georgia/3071479.html). მიმართვის სახელწოდებაა „გზავნილი ქართველ ხალხს“. თავდაპირველად ერთ-ერთი მათგანი(ხვიჩა გობაძე) ადიდებს ალაჰს და მადლობას უხდის იმისათვის,რომ ჩამოიყვანა ისლამურ ხალიფატში,რასაც მიიჩნევს დიდ წყალობად. შემდეგ საუბრობს იმის შესახებ,თუ რამ უბიძგათ მათ საჯაროდ მიემართათ ქართველი ხალხისათვის და მოჰყავს ყურანიდან ალაჰის სიტყვები - „შეაგონე! უეჭველად შეგონება მორწმუნეებისთვის სარგებელს მოიტანს“.რაც შეეხება მიმართვის ადრესატებს. ხვიჩა გობაძე პირველ რიგში მიმართავს საქართველოში მყოფ „მუსლიმან ძმებს“ და არწმუნებს,რომ მათთვის აკრძალულია *კიაფირების*(ურწმუნოების) გვერდით ცხოვრება. ისინი არა მხოლოდ უნდა გაშორდნენ იმ ხალხს,რომლებიც *ტაგუტს*(ალაჰის გარდა ნებისმიერი რამის თაყვანისცემა) ეთაყვანება,არამედ უნდა „გამოუცხადონ მტრობა და ომი,მანამ სანამ არ მოსპობ ტაგუტს,ან არ იქნები შენ თვითონ ჩაბარებული ალაჰს შაჰიდად“. შემდეგ „ისლამური სახელმწიფოს“ ქართველი მებრძოლი მიმართავს „იმ აჭარელ ხალხს,რომლებსაც საკუთარი თავი მუსლიმანად მიაჩნიათ...თქვენ მხოლოდ ისლამის ნაწილი მიიღეთ, მაგრამ უმთავრესი რაცაა „*ტაუხიდი*“(ერთმორწმუნეობა),ეს არ მიიღეთ“. იგი შემდეგნაირად განმარტავს აღნიშნულ ცნებას-„მხოლოდ და მხოლოდ ალაჰის ხათრისთვის უნდა გიყვარდეთ მორწმუნეები და და ალაჰის ხათრისთვის უნდა გძულდეთ კიაფირები“.ISIS-ის მებრძოლები ქართველ მუსლიმებს აკრიტიკებენ იმის გამოც,რომ ისინი „ტაგუტის მსაჯულებით სჯიან საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებას“,რითიც ეწინააღმდეგებიან იმას,რომ „მსაჯულება მხოლოდ ალაჰს ეკუთვნის“.

აღნიშნულ მიმართვაში „ისლამური სახელმწიფოს“ ქართველი მებრძოლები მკაცრად აკრიტიკებენ აჭარის რეგიონში მოღვაწე მუსლიმ სასულიერო პირებსაც.მათ მოიხსენიებენ როგორც „ეგრეთ წოდებულ ხოჯებსა და მუფთებს. თქვენ დიდი ცოდვა გადევთ კისერზე,იმიტომ რომ, უბრალო ადამიანებს,რომლებმაც ისლამი არ

იციან,თქვენი ლამაზი სიტყვებით უბნევთ გზას-ცდომილებას აჩვენებთ ჭეშმარიტებად,ჭეშმარიტებას კი ცდომილებად“. გამომდინარე აქედან,სასულიერო პირებს უყენებენ უმძიმეს ბრალდებას - „თქვენ თვითონ არ ხართ მუსლიმანები, თქვენ თვითონ ხართ ტაგუტის თაყვანისმცემლები, ტაგუტის მონები და ეგ ხალხი თქვენს ნაკვალევს მიყვება...გეშინოდეთ ალაჰის,ნუ გეშინიათ ბინძური კიაფირი წინამძღოლების,ნუ გეშინიათ მათი ბრძანებების, რომლებსაც თქვენ უყოყმანოდ ასრულებთ“. შემდეგ საუბარია იმ გზების შესახებ,რომლითაც მუსლიმები უნდა გათავისუფლდნენ „კიაფირთა მონობისაგან“-„სანამ ვერ მიხვდებით,ვერ გაიგებთ და ვერ ჩასწვდებით ყურანის ყოველ სიტყვას და თქვენი გულები ალაჰის თაყვანისცემით და შიშით არ იქნება აღვსილი,მანამდე მონები იქნებით მაგ ტაგუტების და მაგ კიაფირების ბრძანებების შემსრულებლები იქნებით...თქვით ჭეშმარიტი სიტყვა,რაც გიბრძანათ ალაჰმა და მისმა მოციქულმა,ის გამოასწორებს თქვენს მდგომარეობას,აღარ დარჩებით მასე დამცირებულები და დაკნინებულები კიაფირების მო-ნობაში“.აღნიშნული ფრაზები წარმოადგენს Muslim Victimhood ნარატივის კლასიკურ გამოვლინებას.ISIS-ის მებრძოლები არწმუნებენ ქართველ მუსლიმებს, რომ ისინი წარმოადგენენ მეორეხარისხოვან მოქალაქეებს და განიცდიან მუდმივ ჩაგვრასა და ღირსების შემლახველ მოპყრობას ქრისტიანთა მხრიდან. გამომდინარე აქედან, ვერ ახერხებენ მათზე დაკისრებული რელიგიური ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებას.მართალია, საქართველოში არ დგას მწვავედ რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის საკითხი,თუმცა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს არ მოხდეს მოხესა და ჭელას ინციდენტების განმეორება, რათა დაინტერესებულ ჯგუფებს არ მიეცეთ შესაძლებლობა აღნიშნულ თემატიკაზე აპელირებით ხელი შეუწყონ მუსლიმი აღმსარებლობის მოქალაქეთა რადიკალიზაციასა და მათ გაუცხოებას ქართულ სახელმწიფოსთან.

მიმართვის დასკვნითი ნაწილის ადრესატს წარმოადგენენ საქართველოში მცხოვრები ქრისტიანები.ქართველი მოჯაჰედები მათ მიმართავენ შემდეგი სიტყვებით- „ეგრეთ წოდებულო ქრისტიანებო, კიაფირებო!...მიიღეთ ისლამი და იცხოვრეთ ამ ქვეყანაზე ისლამურად და ალაჰის წყალობის ქვეშ შედით სამოთხეში“. ეს სიტყვები შეგვიძლია მივიჩნიოთ The Winner’s Message ნარატივის ერთ-ერთი კომპონენტის-

Mercy(მოწყალება) ნათელ გამოხატულებად-ისლამის აღიარების და „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდაჭერის შემთხვევაში,ალაჰი მათ ყველა ადრინდელ შეცოდებას შეუნდობს...მიმართვის ბოლოს საუბრობს უკვე ბადრი ირემაძე და აჟღერებს ღია მუქარას „ისლამის მტრების“ მისამართით- მათ ემუქრება „ღმერთის კანონით“ განსჯით,რაც გულისხმობს სიკვდილით დასჯას,რადგან „ღმერთი ძალიან მკაცრია და ძალიან ლმობიერი თავის სიმკაცრეშიც,თავის ლმობიერებაშიც...დადგება სულ მალე,ღმერთის წყალობით თქვენი თავების დაჭრის დროც“. აღნიშნული ფრაზა წარმოადგენს The Winner's Message ნარატივის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის-Brutality(ძალმომრეობა) ნათელ გამოვლინებას. ამ გზით „ისლამური სახელმწიფო” ცდილობს ყველა დაარწმუნოს იმაში,რომ მას შესწევს ძალა დასაჯოს საკუთარი მტრები”(leppink:12),რომლებსაც აიგივებს ზოგადად ისლამის მტრებთან. დასასრულს საუბარია იმის შესახებ, რომ არსებული წარმოდგენებისდა მიუხედავად „ხალიფატი“ „ძალიან მალე“ მოაღწევს საქართველოში,ხოლო ვიდეო-მიმართვა „გზავნილი ქართველ ხალხს“ სრულდება შემდეგი სიტყვებით:„დაგსჯით ღმერთის წყალობით,დაგსჯით ღმერთის წყალობით!!!“ ამგვარად შეიძლება ითქვას,რომ ქართველი მებრძოლების აღნიშნულ მიმართვაში ნათლად ჩანს „ისლამური სახელმწიფოს“ პროპაგანდის ძირითადი დებულებები და ის მიზნად ისახავს დაარწმუნოს მსმენელი თუ მაყურებელი,რომ ერთადერთი სწორი გზა არის ISIS-ში გაწევრიანება.„ხალიფატის“ მებრძოლები ქართველ მუსლიმებს მოუწოდებენ მისდიონ ჭეშმარიტ ისლამს,ხოლო ქრისტიანებმა უარი თქვან საკუთარ სარწმუნოებაზე და შეუდგნენ ალაჰის გზას.

რაც შეეხება „ისლამური სახელმწიფოს“ ქართულ-ენოვან ინტერნეტ რესურსებს.ამ მიმართულებით პირველ რიგში აღსანიშნავია ერთგვარი „ოფიციალური“ ვებგვერდი-(https://xalifati.wordpress.com/), რომელზეც გავრცელდა ISIS-ის ქართველი მებრძოლების ვიდეომიმართვა.მართალია,აღნიშნული გვერდი საქართველოს მთავრობის მიერ დაიბლოკა სწორედ ქართველი ჯიჰადისტების მიმართვის გავრცელების შემდეგ,თუმცა ჩვენთვის ექსპერტების დახმარებით ცნობილი გახდა ამ ვებ-რესურსის შინაარსი.როგორც ირკვევა,აქ განთავსებული იყო ყოველდღიური ინფორმაცია „ისლამურ სახელმწიფოში“ მიმდინარე მოვლენების შესახებ,ასევე მასალები შემდეგი ქვესათაურებით:„ალაჰი“, „ისლამი“, „ისლამის გაკვეთილი“, „ისლამური სახელმწიფო“,

„მუჯაჰიდი“, „მუჰამედი“,„ისლამი“,„შაჰიდის ცხოვრებიდან“. გარდა ამისა,ვებგვერდზე განთავსებული იყო პროპაგანდისტური ხასიათის წიგნი-„ეს ხალიფატის მიწაა“.აღსანიშნავია ასევე ცალკეული რადიკალური ჯგუფების-„აჭარის ისლამური სახელმწიფო“,„საქართველოს ისლამური გამოღვიძების მოძრაობა“ ოფიციალური ფეისბუქ-გვერდები (http://www.geotimes.ge/blogi/index.php?m=82&post_id=18), რომლებიც დღეისათვის დაბლოკილია.ერთ-ერთი მათგანიდან მოვიყვანთ 2 ილუსტრაციას,რომლებიც ნათლად წარმოაჩენენ იმ იდეებს,რომელთა პროპაგანდირებასაც ცდილობენ მსგავსი დაჯგუფებები.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი,რომ ინტერნეტის მეშვეობით ექსტრემისტური იდეების გავრცელებასთან ბრძოლა არის ძალიან ძნელი,რადგან ხელისუფლებამ რომც შეზღუდოს წვდომა სხვადასხვა რადიკალური ჯგუფების ოფიციალურ საიტებსა თუ Facebook გვერდებზე,არსებობს უამრავი მსგავსი შინაარსის ინგლისურ თუ რუსულენოვანი ვებგვერდები,ასევე კონკრეტული პიროვნებების სოციალური ქსელების პირადი გვერდები, რომელთა გაკონტროლებაც აღემატება სახელმწიფოს ძალებს. გამომდინარე აქედან,ინტერნეტი და განსაკუთრებით სოციალური ქსელები კვლავაც რჩება პროპაგანდისტური მასალების გავრცელების მძლავრ იარაღად,რასაც შესანიშნავად იყენებენ სხვადასხვა რადიკალური დაჯგუფებები!

...პანკისის ხეობის მცხოვრებთა შორის რადიკალური ფუნდამენტალიზმის გავრცელების პროცესს ხელი შეუწყო ასევე იმ კონკრეტულმა პიროვნებებმა,რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენები მოიპოვეს „ისლამურ სახელმწიფოში“.ამ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობთ თარხან ბათირაშვილს,რომელიც წარმოადგენდა „ხალიფატის“ ერთ-ერთ აღიარებულ ლიდერს.როგორც საქართველოს რეფორმების ასოციაციის მიერ მომზადებულ პოლიტიკის დოკუმენტში-*დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები* ვკითხულობთ „ბათირაშვილი პანკისელ ახალგაზრდებში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობს...მას ახასიათებენ როგორც გმირს,მებრძოლს,ძლიერ ადამიანს,მისაბაძ პიროვნებას და ა.შ.“(გოგუაძე&კაპანაძე,2015.გვ.11-12). კვლევის ავტორები აღნიშნულ ფაქტს ხსნიან იმით, რომ პანკისის ხეობაში მცხოვრები ქისტები მათი გეოგრაფიული განსახლების ხასიათიდან გამომდინარე, იმდენად კარგად იცნობენ ერთმანეთს, რომ პრაქტიკულად ერთ სოციალურ კომუნად არიან ჩამოყალიბებულნი.სწორედ ამიტომ, „საბრძოლველად წასული ახალგაზრდა,წარმატების მიღწევის შემთხვევაში მისაბაძი პიროვნება ხდება თავისი სამეგობრო წრისა და თანატოლებისათვის“.

...საუბარს განვაგრძობთ იმ მიზეზების განხილვით,რომლებმაც ჩვენი აზრით ხელი შეუწყო XX საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში,უმთავრესად კი პანკისის ხეობაში ვაჰაბიზმის გავრცელებას.

§2.3 უცხოური მხარდაჭერა

როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ,მეოცე საუკუნის მიწურულს,საქართველოში,უპირატესად პანკისის ხეობაში ტრადიციული,კლასიკური ვაჰაბიზმის გავრცელების უმთავრეს მიზეზად მივიჩნევთ დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ წარმოებულ მასშტაბურ პროზელიტისტურ კამპანიას.ამ შემთხვევაში,უმთავრეს როლს ასრულებდა საუდის არაბეთი,სადაც აღნიშნული მიმდინარეობა წარმოადგენს სახელმწიფო რელიგიას,ამიტომაც არ არის გასაკვირი მათი მისწრაფება მოეხდინათ ვაჰაბიზმის რაც შეიძლება ფართო გავრცელება.როგორც

ბატონმა ვ. მაისაიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა,აღნიშნული სახელმწიფო ვაჰაბიზმის პოპულარიზაციისათვის ხარჯავდა წელიწადში 12 მილიარდ აშშ დოლარს.რაც შეეხება უშუალოდ პანკისს,მისი განცხადებით,ის პირები,რომლებიც გახდებოდნენ ვაჰაბიზმის აღმსარებელნი,საჩუქრად ღებულობდნენ 300 აშშ დოლარს. ფუნდამენტალისტთა დახმარება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მატერიალური რესურსებით.აქტიურად ხდებოდა მათი მომარაგება სხვადასხვა ლიტერატურით,გარკვეული პირების გაგზავნა არაბულ ქვეყნებში საფუძვლიანი თეოლოგიური განათლების მისაღებად და ა.შ. ამიტომაც,არ არის გასაკვირი, თუ რატომ მოხდა ტრადიციული ისლამის შესუსტება და ფუნდამენტალისტთა პოზიციების გაძლიერება.

ვაჰაბიზმის გავრცელებას ხელი შეუწყო ასევე საბჭოთა პერიოდში „მებრძოლი ათეიზმის“ არსებობის შედეგად ტრადიციული ისლამის მკვეთრმა დასუსტებამ, რომლისთვისაც ძალზე ძნელი აღმოჩნდა რესურსებით უზრუნველყოფილ ფუნდამენტალისტებთან კონკურენციის გაწევა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ.როგორც მკვლევარები აღნიშნავენ- „ტრადიციული ისლამის წარმომადგენელ ღვთისმსახურ პირთა განათლების და კომპეტენციის დონე დაბალია; ხშირად მეჩეთების იმამებად საფუძვლიანი სასულიერო განათლების არმქონე პირები ინიშნებიან.ტრადიციული ისლამის წარმომადგენლები ვერ უწევენ კონკურენციას სალაფიტური ჯამაათის ლიდერებს,რომლებსაც ფუნდამენტური თეოლოგიური განათლება აქვთ მიღებული არაბულ ქვეყნებში“ (სიხარულიძე,ურუშაძე,ხმალაძე,&ჭიჭინაძე,2016.გვ.22).

ვაჰაბიზმის გავრცელების ხელშემწყობ ფაქტორად მივიჩნევთ ასევე ქვეყანაში არსებულ მასშტაბურ სოციალურ-პოლიტიკურ კრიზისს.ამ პერიოდის საქართველოში არსებულ ვითარებას ნათლად აღწერს ვ. მაისაიას ნაშრომი *საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004)*.ავტორის თანახმად,ადგილი ჰქონდა ეკონომიკური და ფინანსური სისტემის სრულ მოშლას„,ჩრდილოვანი ეკონომიკის” მკვეთრ ზრდას,მახინჯი პოლიციური სისტემის ჩამოყალიბებას…კორუფციისა და ნეპოტიზმის „ჭაობში” ჩაფლული ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა ქვეყნის ტერიტორიის “მხოლოდ და მხოლოდ 30%-ს”.საზღვრისპირა რეგიონებში და განსაკუთრებით პანკისის ხეობაში

გამეფებული იყო სრული ქაოსი და მხოლოდ ფორმალურად ვრცელდებოდა საქართველოს სუვერენიტეტი. ერთი სიტყვით,ქვეყანა წარმოადგენდა კლასიკურ „არშემდგარ სახელმწიფოს" და თავს ვერ ართმევდა მასზე დაკისრებულ ელემენტარულ მოვალეობებსაც კი (მაისაია,2013.გვ.119-121).

ამგვარად,XX საუკუნის 90-იან წლებში პანკისში კლასიკური ვაჰაბიზმის გავრცელების უმთავრეს მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ ფუნდამენტალისტთა მასშტაბური მხარდაჭერა გარე ძალებიდან,რასაც დაერთო ხეობაში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური პირობები და საბჭოთა მმართველობის წლებში ტრადიციული ისლამის როლის დაკნინება.

თუკი პანკისში ტრადიციული,კლასიკური ვაჰაბიზმის გავრცელება, არ წარმოადგენდა პირდაპირ საფრთხეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის,ვითარება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენების „წყალობით",ხეობაში გამოჩნდნენ უკვე „ფუნდამენტალისტური"ვაჰაბიზმის მიმდევრებიც,რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ტერორისტულ საქმიანობასთან. ოფიციალური მონაცემებით, ჩრდილოეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებებისას პანკისის ხეობას თავი შეაფარა 8 ათასმა ჩეჩენმა ლტოლვილმა,თუმცა ვინაიდან აღრიცხვა იყო ნებაყოფლობითი,დიდი ალბათობით, მათი რიცხვი იყო უფრო მაღალი(სიხარულიძე და სხვ.გვ.18). როგორც ვ. მაისაიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა,"ალ-ქაიდას" ლიდერი უსამა ბინ ლადენი ორჯერ პირადად იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში.პირველად 1996 წელს დაახლოებით 2 თვით,როდესაც ადგილობრივი ვაჰაბიტური ჯამაათის ლიდერებს გადასცა 10 მილიონი აშშ დოლარი და წარუდგინა მისი პირადი წარმომადგენელი ამირ ალ-ხატაბი.სწორედ ამ პიროვნებამ „ითამაშა მთავარი როლი ჩეჩნეთის კონფლიქტის ინტერნაციონალიზაციის საქმეში, და უმეტესწილად სეკულარული ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის მან გადააქცია ჯიჰადად,ბრძოლად, რომელიც კავკასიის ისლამიზაციასა და რეგიონიდან რუსეთის განდევნას ისახავს მიზნად...ის იყო არაბული სამყაროდან ფინანსური დახმარების მთავარი გამნაწილებელი (https://www.radiotavisupleba.ge/a/1520383.html).ბინ ლადენის მეორე ვიზიტი ჩრდილოეთ კავკასიაში განხორციელდა 1999 წლის ივნისში.ექსპერტის განცხადებით,"ალ-ქაიდას"

ლიდერმა პირადად მოინახულა ჩეჩნეთში ხატაბის მეთაურობით ჩამოყალიბებული სასწავლო ცენტრი და თითოეულ (300) კურსანტს დაურიგა 300 აშშ დოლარი. უკვე 1997 წლისათვის პანკისში გამოჩნდნენ ტერორისტულ ორგანიზაცია „ალ-ქაიდასთან“ დაკავშირებული პირები,ხოლო 1999 წლისათვის აღნიშნულ დაჯგუფებას უკვე გააჩნდა კარგად ორგანიზებული ქსელი კავკასიის რეგიონში.სწორედ ამ სტრუქტურის ერთ-ერთ წამყვან იერარქიულ პირს წარმოადგენდა იორდანიელი აბუ-ჰაფსი,რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული პანკისში ვაჰაბიზმის გაძლიერება. როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, სწორედ მისი ინიციატივით მოხდა სოფელ დუისში მასშტაბური ვაჰაბიტური მეჩეთის მშენებლობა,რომელიც მალევე გადაიქცა ხეობაში ამ მიმდინარეობის ცენტრად.მართალია, უცხოელი პარტნიორების აქტიური დახმარების შედეგად მოხერხდა პანკისის ხეობის ტერორისტებისგან „გაწმენდა“, თუმცა აღნიშნულმა პრობლემამ კვლავ იჩინა თავი „ისლამური სახელმწიფოს“ გააქტიურების შემდეგ.

მნიშვნელოვანია ასევე ვაჰაბიზმის მიმდევრებისა და ტრადიციული ისლამის აღმსარებელთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. როგორც ირკვევა,მათ შორის არსებობს გარკვეული განხეთქილება.კერძოდ, ტრადიციული ისლამის მიმდევრები ვაჰაბიტებს ადანაშაულებენ ქისტური ტრადიციებისა და ღირებულებების უარყოფაში,ხოლო ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ აცხადებენ,რომ ხეობაში დღევანდელი ფორმებით არსებულ ტრადიციულ ისლამს „არაფერი აქვს საერთო „სუფთა“,“ჭეშმარიტ“ ისლამთან,რომლის კანონებიც მოცემულია წმინდა წიგნში“ (სიხარულიძე,და სხვ.გვ.23).

თავი III

სახელმწიფო პოლიტიკა ისლამური ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგ

ნაშრომის ამ ნაწილში ვისაუბრებთ იმ კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც ახორციელებს ქართული სახელმწიფო ისლამური ფუნდამენტალიზმის მასშტაბების შესამცირებლად. შევეხებით როგორც ძალოვანი უწყებების,პირველ რიგში კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობას,ასევე სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. ამ უკანასკნელს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა,რადგან ნათელია,რომ მხოლოდ სამართალდამცავი უწყებები ვერ შეძლებენ მსგავსი კომპლექსური პრობლემის მოგვარებას. სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას დავუთმობთ 2014 წლის თებერვალში საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილ სპეციალურ ინსტიტუტს-რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს,რომელიც„წარმოადგენს შუამავალ რგოლს რელიგიურ გაერთიანებებსა და სახელმწიფოს შორის“.სწორედ აღნიშნული უწყება „განსაზღვრავს საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალურ პოლიტიკას რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით და მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ქვეყანაში სწორი რელიგიური პოლიტიკის განხორციელებას...სააგენტოს უმთავრესი ფუნქციაა, რელიგიის თავისუფლების საყოველთაო პრინციპებზე დაყრდნობით, დაიცვას ადამიანის რელიგიური უფლებები“.ორგანიზაციამ ფუნქციონირება დაიწყო 2014 წლის ივნისიდან. ასევე გავეცნობით 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიას.

§ 3.1 ძალოვანი უწყებების საქმიანობა

ძალოვან უწყებებს შორის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს,რომელიც შეიქმნა 2015 წლის 1 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორად გაყოფის შედეგად(https://ssg.gov.ge/page/aboutus/info).როგორც ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ,დაწესებულებას გააჩნია 4 ძირითადი პრიორიტეტი: ტერორიზმთან ბრძოლა,ოკუპირებული ტერიტორიები,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და ქბრბ (ქიმიური,ბიოლოგიური,რადიოლოგიური და ბირთვული) უსაფრთხოება. ჩვენი უმთავრესი ყურადღების ობიექტია სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯები ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით.ამ მიზნით თავდაპირველად მიმოვიხილავთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2015-16-17 წლების საქმიანობის ანგარიშებს.

როგორც 2015 წლის შემაჯამებელ დოკუმენტშია(https://ssg.gov.ge/uploads/ანგარიშები/SSSG%20REPORT.pdf) აღნიშნული-„გლობალური ტერორისტული საფრთხის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“...„ისლამურმა სახელმწიფომ“ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობა შეიძინა. ისლამისტური იდეოლოგიის გამავრცელებლები ცდილობენ, საზოგადოების გარკვეული ნაწილის დაბალი ცნობიერება მათ სასარგებლოდ გამოიყენონ... ამჟამად ტერორისტული ორგანიზაციის რიგებში რამდენიმე ათეული(50-მდე)საქართველოს მოქალაქე იბრძვის.არიან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მსურველებიც. მათი ტერორისტულ საქმიანობაში ჩართულობა აზიანებს ქვეყნის იმიჯს და საფრთხის შემცველია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის“ (გვ.11).

„უსაფრთხოების სამსახურის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რადიკალური იდეოლოგიის გავრცელების მიზნით ინტერნეტ სივრცის გამოყენების პრევენციას. 2015 წლის ნოემბერში, შეიზღუდა წვდომა რადიკალური იდეოლოგიის გამავრცელებელ ვებგვერდებსა და სოციალურ მედიაში დარეგისტრირებულ ჯგუფებზე“ (გვ.12-13).

როგორც ანგარიშში ვკითხულობთ-„საქართველოს მოქალაქეების საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისთვის გამგზავრების პრევენციის მიზნით, საანგარიშო პე-

რიოდში მუდმივად ტარდებოდა შესაბამისი ღონისძიებები... სუს-სა და პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებს შორის მუდმივად ხდებოდა ინფორმაციის გაცვლა ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებულ ან/და კავშირში მყოფ პირებზე, ასევე ტრანზიტულად გადაადგილების მსურველებზე. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სასაზღვრო კონტროლზე დაყენებულ იქნა რამდენიმე ასეული პირი.მთლიანობაში კონტრტერორისტული მიმართულებით, შსს-სთან თანამშრომლობით,საქართველოს სასაზღვრო კონტროლზე აყვანილ იქნა 1286 პირი,ხოლო 1014-ს აეკრძალა საქართველოში შემოსვლა.ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აღკვეთილია საქართველოს მოქალაქეთა კონფლიქტის ზონაში გამგზავრების მცდელობის 40 ფაქტი"(გვ.13-14).

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის ანგარიშში (https://ssg.gov.ge/uploads/ანგარიშები/angarishi2016.pdf), ვკითხულობთ, რომ „შემცირდა ტერორისტულ საქმიანობაში ჩართვის მსურველი, რადიკალიზებული მოქალაქეების რაოდენობა(გვ.12). რაც შეეხება უშუალოდ უწყების მიერ განხორციელებულ ქმედებებს- „საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა გამოავლინა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული რამდენიმე პირი...დაიწყო გამოძიება უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ,რომელიც საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს" მხარდამჭერი დაჯგუფების შექმნას ცდილობდა. კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები გატარდა უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების 15 კაციანი ჯგუფის მიმართ, რომლებიც ექსტრემისტული მოწოდებებით ტერორიზმის იდეოლოგიურ მხარდაჭერას ახორციელებდნენ"(გვ.13).

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება,რომ სუს-ის მიერ „აქტიურად მიმდინარეობდა ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების გამოვლენა და აღკვეთა. ხორციელდებოდა ბიზნეს და საქველმოქმედო ორგანიზაციების საფარქვეშ მოქმედი,ტერორისტული დაჯგუფებების ფინანსური ინტერესების შესაძლო გამტარებელი პირების საქმიანობის კონტროლი.გამოვლენილ იქნა უცხო ქვეყნის 20-მდე მოქალაქე, რომელთაც დაფუძნებული ჰქონდათ საეჭვო ფინანსურ საქმიანობაში ჩართული იურიდიული პირები"(გვ.13-14).

გამოვლენილია „ისლამური სახელმწიფოს" მხარდამჭერი, საზღვარგარეთ მცხოვრები საქართველოს რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც სხვადასხვა ინტერნეტ რესურსის,

კერძოდ,ე.წ. ბლოგებისა და სოციალური მედიის გამოყენებით ეწეოდნენ ტერორისტული ორგანიზაციის იდეოლოგიურ მხარდაჭერას“(გვ.14).

დოკუმენტის თანახმად, „სუს-სა და პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებს შორის თანამშრომლობის ფარგლებში სასაზღვრო კონტროლზე დაყენებულ იქნა რამდენიმე ასეული პირი.მთლიანობაში, კონტრტერორისტული მიმართულებით,საქართველოდ სასაზღვრო კონტროლზე აყვანილ იქნა 1500 პირი,ხოლო 750-ს აეკრძალა საქართველოში შემოსვლა“(გვ.14).

რაც შეეხება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიშს(https://ssg.gov.ge/uploads/ანგარიშები/angarihi%202017.pdf). მასში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა „ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედების სტრატეგიასა და მისგან მომდინარე საფრთხეების ანალიზს.როგორც დოკუმენტშია აღნიშნული-„ისლამური სახელმწიფო“, სავარაუდოდ, გააძლიერებს იდეოლოგიურ მუშაობას და თანამედროვე ტექნოლოგიების,მათ შორის, სოციალური მედიის გამოყენებით მეტი ადამიანის რადიკალიზაციასა და გადაბირებას შეეცდება. გასული წლებისგან განსხვავებით, როდესაც ტერორისტული ორგანიზაცია ძირითადად ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების განხორციელებით იყო დაკავებული, 2017 წლის ტენდენციამ გვიჩვენა, რომ ტერორისტული აქტების განხორციელება „ისლამური სახელმწიფოს“ მოქმედების მთავარ იარაღად იქცა“(გვ.13).

მართალია, „გლობალური ტენდენციის მსგავსად, საქართველოში ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდამჭერთა რაოდენობა და მათი გავლენები მნიშვნელოვნად შემცირდა“, თუმცა „უნდა აღინიშნოს,რომ „ისლამურ სახელმწიფოს“,სხვა ქვეყნების მსგავსად, შესაძლოა, საქართველოში ჰყავდეს ცალკეული მხარდამჭერები,რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, იმოქმედებენ ტერორისტული ორგანიზაციის მხრიდან მიღებული დავალების შესაბამისად(გვ.13-14).

როგორც ანგარიშშია აღნიშნული „ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენენ ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლო მხარდამჭერი უცხო ქვეყნის მოქალაქეები,რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან...საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ იქნა საქართველოში მცხოვრები უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტთა ჯგუფი, რომლე-

ბიც სოციალური ქსელების მეშვეობით აქტიურად ავრცელებდნენ რადიკალურ მოწოდებებს“(გვ.14).

რაც შეეხება 2017 წლის მონაცემებით სირიასა და ერაყში საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე საქართველოს მოქალაქეთა რიცხვს,სუს-ის ინფორმაციით მათი რაოდენობა შეადგენს „დაახლოებით 30-ს“.როგორც უსაფრთხოების სამსახური აცხადებს-„2017 წლის განმავლობაში აღნიშნული პირების საქართველოში დაბრუნების ფაქტები არ დაფიქსირებულა.სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტერორისტული ორგანიზაციების რიგებში მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების ქვეყანაში შესაძლო დაბრუნებას და მსგავსი ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში იმოქმედებს კანონის შესაბამისად“(გვ.14-15).

დოკუმენტში აღნიშნულია,რომ „2017 წელს საქართველო რამდენიმე მნიშვნელოვანი,ზოგ შემთხვევაში კი კრიტიკული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა,ადგილი ჰქონდა ტერორიზმის დაფინანსების მცდელობის,ექსტრემისტული და ტერორისტული იდეების მხარდაჭერისა და საქართველოს ცალკეული მოქალაქეების რადიკალიზაციის ფაქტებს“(გვ.13).

2017 წელს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ტერორიზმთან ბრძოლის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების შესახებ საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით 2 გახმაურებულ სპეცოპერაციას,რომლებიც ჩატარდა 21-22 ნოემბერს ქ.თბილისში და 26 დეკემბერს პანკისის ხეობაში.თავდაპირველად გაგაცნობთ ანგარიშში გადმოცემულ ოფიციალურ ინფორმაციას აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით-„2017 წლის 21-22 ნოემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საერთაშორისო ტერორისტის, აჰმედ ჩატაევისა და მისი კარგად ორგანიზებული,ტერორისტული დაჯგუფების წინააღმდეგ სპეცოპერაცია ჩაატარა.არსებული ინფორმაციით, დაჯგუფების მიზანს წარმოადგენდა საქართველოში ტერორისტული თავდასხმების მოწყობა.სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად შესაძლებელი გახდა ჯგუფის აღმოჩენა და მათ წინააღმდეგ შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება.აჰმედ ჩატაევისა და მისი ე.წ. დაცვის წევრებთან გამართული შეტაკებისას დაიღუპა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომელი ივანე გოლაშვილი,დაიჭრა 4 სამართალდამცველი.თავიდან იქნა აცილებული მსხვერპლი მშვი-

დობიან მოქალაქეებს შორის“(გვ.14). მიუხედავად იმისა,რომ უწყება აღნიშნულ სპეცოპერაციას მიიჩნევს წარმატებულად,საზოგადოებაში გაჩნდა მთელი რიგი სრულიად ლეგიტიმური კითხვები-პირველ რიგში, რატომ ვერ მოხერხდა ტერორიზმში ეჭვმიტანილი პირების იმგვარ გარემოში დაკავება,რაც მოსახლეობას შეუქმნიდა ნაკლებ დისკომფორტს.როგორც ცნობილია,სპეცოპერაცია მიმდინარეობდა პრაქტიკულად 24 საათზე მეტხანს, რა დროსაც ადგილობრივი მოსახლეობა აღმოჩნდა მძიმე,სტრესულ ვითარებაში.ვერ მოხერხდა სათანადოდ მათი ევაკუაციის პროცესის ორგანიზება,გარდა ამისა,მნიშვნელოვნად იქნა დაზიანებული ადგილობრივთა საცხოვრებელი ფართები. ერთი სიტყვით, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სპეცოპერაციის შედეგად მიიღეს როგორც მატერიალური,ისე მნიშვნელოვანი მორალური ზიანი.საზოგადოებას შეკითხვები გაუჩნდა იმ კუთხითაც,იყო თუ არა აუცილებელი სამართალდამცავთა მსგავსი მასშტაბური მობილიზაცია,რამაც შექმნა მნიშვნელოვანი კოორდინაციის პრობლემა.გამომდინარე აქედან,ვფიქრობთ გვაქვს საკმარისი საფუძველი განვაცხადოთ,რომ 21-22 ნოემბერს ჩატარებული სპეცოპერაცია არ იყო სათანადოდ ორგანიზებული და არ შეიძლება მივიჩნიოთ წარმატებულად.

კიდევ უფრო დიდი მღელვარება გამოიწვია ამავე წლის 26 დეკემბერს პანკისის ხეობაში ჩატარებულმა სპეცოპერაციამ,რომელიც მიზნად ისახავდა „ჩატაევის ტერორისტულ ჯგუფთან კავშირზე მყოფი პირების დაკავებას“.სპეცოპერაცია დასრულდა მსხვერპლით-თავის არეში დაჭრილი 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი 2018 წლის 10 იანვარს გარდაიცვალა. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ოფიციალური ინფორმაციით, სპეცრაზმელმა მაჩალიკაშვილს მას შემდეგ ესროლა, რაც მან ხელყუმბარის აფეთქება სცადა,თუმცა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყვეს მაჩალიკაშვილის ოჯახის წევრებმა (https://www.radiotavisupleba.ge/a/specoperaciisas-dachrili-temirlan-machalikashvili-gardaicvala/28967006.html). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საგამოძიებო პროცესი დღესაც არ არის დასრულებული,პანკისის ხეობის მცხოვრებლები კი ატარებენ აქციებს და მოითხოვენ „თემირლან მაჩალიკაშვილის უდანაშაულობის აღიარებას, მის გარდაცვალებაში დამნაშავე პირების დასჯას და ოჯახისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას” (https://www.radiotavisupleba.ge/a/29180531.html). ნათელია,რომ

აღნიშნული სპეცოპერაცია არ შეიძლება მივიჩნიოთ წარმატებულად,რადგან მან ხელი შეუწყო პანკისის ხეობის მოსახლეობაში უნდობლობის ზრდას სახელმწიფო სტრუქტურების,განსაკუთრებით კი სამართალდამცავი უწყებების მიმართ.

ძალოვანი უწყებების საქმიანობის შესახებ საუბრის დასასრულს შევეხებით 2012 წლის 28-29 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან ჩატარებული სპეცოპერაციას,რომლის შესაფასებლად დავეყრდნობით აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით სახალხო დამცველთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიშს (http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2102.pdf). როგორც აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2012 წლის 28 აგვისტოს გავრცელებულ პირველ ოფიციალურ განცხადებაში ვკითხულობთ, „საქართველო-რუსეთის საზღვართან,დაღესტნის მონაკვეთთან,საქართველოს ტერიტორიაზე,აღმოჩენილია შეიარაღებული ჯგუფი.შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ხორციელდება აღნიშნული ჯგუფის დევნის ოპერაცია“(გვ.6). მომდევნო დღეს უწყებამ გაავრცელა ცნობა დაღუპულთა და დაჭრილთა შესახებ-„დევნის ოპერაციის განხორციელების დროს დაიღუპა სპეცდანიშნულების რაზმის 3 თანამშრომელი და დაიჭრა 5.რაც შეეხება დივერსანტთა ჯგუფს, ლიკვიდირებულია შეიარაღებული დაჯგუფების 11 წევრი.მიმდინარეობს 6 დივერსანტის დევნის ოპერაცია“(გვ.7). მოგვიანებით დაზუსტებულ იქნა,რომ სპეცოპერაციის შედეგად დაიღუპა უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების 7 წევრი,რომელთაგან 2 აღმოჩნდა საქართველოს მოქალაქე.

ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ის დეტალები,რომელთა შესახებაც საბჭოს წევრებთან საუბრობენ გარდაცვლილი საქართველოს მოქალაქეების მშობლები.როგორც ერთ-ერთი მათგანი აცხადებს-„2012 წლის ზაფხულში პანკისის ხეობაში შეინიშნებოდა ჩეჩენი ეროვნების პირების მოჭარბებული სიმრავლე. ისინი ჩამოსულები იყვნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან.აღნიშნული პირები ცხოვრობდნენ თბილისში,შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაქირავებულ ბინებში.სპეცოპერაციის ჩატარებამდე ისინი შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი ჯიპებით გადაიყვანეს ლაფანყურში“.აღნიშნულ პერიოდში ხეობაში წვერებიანი,თავგადაპარსული(რაც წარმოადგენს ვაჰაბიტთა ერთ-ერთ

უმთავრეს გარეგნულ ნიშანს) პირების აქტიურ გადაადგილების შესახებ საუბრობენ ასევე სხვა ადგილობრივი მცხოვრებლებიც.(გვ.38).

ვფიქრობთ,აღნიშნული მონათხრობი ადასტურებს იმ ფაქტს,რომლის შესახებაც სხვადასხვა ინტერვიუებში საუბრობდნენ პანკისის ხეობის მცხოვრებლები.როგორც უხუცესთა საბჭოს გამგეობის თავმჯდომარემ ზაურ გუმაშვილმა განაცხადა-მ.სააკაშვილის მმართველობის პერიოდში საქართველოს ხელისუფლებამ „მწვანე შუქი აუნთო ხეობის არაბიზაციის პროცესს.რადიკალური ისლამის პროპაგანდისტებს ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. ძალიან ახლო და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ.ჩვენი ძალოვანების დევიზი იყო: ვაჰაბიტები აკონტროლებენ პანკისს, ჩვენ ვაკონტროლებთ ვაჰაბიტებს! ამ ლოგიკაში ჯდებოდა სააკაშვილის ხელისუფლების აზროვნება“.ბუნებრივია,ჩნდება შეკითხვა,რა მიზნით უწ-ყობდა ხელს სახელმწიფო მის ტერიტორიაზე ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცე-ლებას?აღნიშნულ კითხვაზე გუმაშვილის პასუხი არის შემდეგი-„სახელმწიფო დაინტე-რესებული იყო, ყველაფერი,რაც ქისტებთან და ქისტურ მეობასთან იყო დაკავშირებუ-ლი,ჩამკვდარიყო“(http://reportiori.ge/old/?menuid=74&id=75726). გარდა ამისა,გამომდინა-რე იმ მნიშვნელოვანი ფინანსური ნაკადებიდან,რომლებიც სხვადასხვა გარე ძალების მიერ მიმართული იყო ვაჰაბიზმის პოპულარიზაციისაკენ,ბუნებრივია,ვერ გამოვრიც-ხავთ კორუფციის ფაქტორსაც.ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას,რომ 2004-12 წლებში ხელისუფლების სტრატეგიული ხაზი-ტრადიციული ისლამის საპირისპიროდ აქცენტირება ვაჰაბიზმზე, იყო მნიშვნელოვანი შეცდომა,რომლის ლოგიკურ დასასრულ-საც წარმოადგენდა ლაფანყურის სპეცოპერაცია.

ლაფანყურის სპეცოპერაციასთან დაკავშირებით არსებობს უამრავი კითხვა,რო-მელზეც საზოგადოებამ პასუხი ვერ მიიღო ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც. მიუხედავად იმისა,რომ 2012 წლის დეკემბერში შინაგან საქმეთა მინისტრმა ადგილობ-რივ მოსახლეობას „პირობა მისცა, რომ აღნიშნული საქმის გამოძიება ობიექტურად წა-რიმართება და მას პირადად გააკონტროლებს“, ასევე დაღუპული სპეცრაზმელების ოჯახის წევრებთან შეხვედრისას განაცხადა,რომ „გამოძიება მაქსიმალურად ობიექ-ტურად წარიმართება და საქმეში მონაწილე ყველა დამნაშავე პირი კანონის შესაბამისად დაისჯება“(გვ.13).

საზოგადოებრივი საბჭოს მუშაობის შედეგად გამოიკვეთა ის ფუნდამენტური საკითხები,რომლებზეც საგამოძიებო უწყებების მხრიდან უნდა იქნეს პასუხი გაცემული: **1**-თავდაპირველად ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ,რომ უკანონო შეიარაღებული ჯგუფის წევრები საქართველოში ჩრდილო კავკასიიდან შემოვიდნენ-„რუსეთიდან საქართველოში ფარულად გადმოსული იყო დივერსიული ჯგუფი,რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე ტერორისტული აქტები უნდა განეხორციელებინა“, მაშინ როდესაც „ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, სავარაუდოდ უკვე ცნობილი იყო, რომ ჯგუფის წევრების მიზანი ჩრდილო კავკასიაში გადასვლა იყო“. **2**-უცნობია როდის და როგორ მოხვდნენ დაჯგუფების წევრები საქართველოში და გადარჩენილმა მებრძოლებმა (სავარაუდოდ 10) რა გზით დატოვეს (ან დატოვეს თუ არა) ქვეყნის ტერიტორია. რაც შეეხება ჯგუფის წევრთა რაოდენობას-მართალია,შინაგან საქმეთა სამინისტრომ არ მიაწოდა სახალხო დამცველს ინფორმაცია იმის თაობაზე,გამოძიების მიერ დადგენილია თუ არა დაჯგუფების წევრთა რიცხვი და ვინაობა,თუმცა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ გამოკითხული ადგილობრივი მცხოვრებ ლები აცხადებენ,რომ ჯგუფი შედგებოდა 17 წევრისგან. **3**-რატომ განსხვავდება დაჯგუფების გარდაცვლილი წევრების რაოდენობის შესახებ თავდაპირველად გავრცე-ლებული ინფორმაცია(11 პირი),ამჟამად არსებული მონაცემებისგან?(7 პირი). **4**-რატომ ასაიდუმლოებდა ხელისუფლება დაჯგუფების რიგებში საქართველოს მოქალაქეთა ყოფნის ფაქტს? **5**-რატომ არ ჩატარდა სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა სასა-მართლო-სამედიცინო ექსპერტიზა? **6**-რატომ არ მოხდა შემთხვევის ადგილის დეტალუ-რი დათვალიერება და ნივთმტკიცებათა ამოღება? **7**-შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოებულ გამოძიებაში არსებული ხარვეზები-საქმის სათანადო კვალიფიკაცია, გამო-ძიების ინსტიტუციური დამოუკიდებლობა და დაზარალებულთა პროცესუალური უფ-ლებების დაცვა (გვ.44-51).

აღნიშნულ ლეგიტიმურ კითხვებზე პასუხები,სამწუხაროდ, დღესაც არ არის გაცე-მული.როგორც 2017 წელს,სახალხო დამცველმა სპეცოპერაციის 5 წლისთავთან დაკავ-შირებით განაცხადა-„გარდაცვლილთა ახლობლები კვლავ გამოძიების მოლოდინში არიან.ამ დრომდე არც ერთი ოჯახი არ არის დაზარალებულად ცნობილი,შესაბამისად, ახლობლები ვერ ახერხებენ საქმის მასალების გაცნობას.სახალხო დამცველი მოუწო-

დებს საგამოძიებო ორგანოებს დანაშაულის დროულ და ეფექტიან გამოძიებას“ (http://netgazeti.ge/news/217570/). მიუხედავად ომბუდსმენის მოწოდებისა,ვითარება კვლავაც უცვლელია.

მსგავსი ფაქტების არსებობა,ბუნებრივია,ზრდის უნდობლობასა და გაუცხოებას სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ,განსაკუთრებით როდესაც საქმე ეხება ეთნიკურ უმცირესობებს.აღნიშნული გარემოება კი ხელს უწყობს დაინტერესებული ჯგუფებს მოახდინონ საკუთარი რადიკალური მსოფლმხედველობის გავრცელება.სწორედ ამიტომ,სახელმწიფო ყოველნაირად უნდა ეცადოს,რადიკალურ ჯგუფებს არ მისცეს მსგავსი შესაძლებლობა,რის უზრუნველყოფასაც,სამწუხაროდ,ხელისუფლება ჯერ-ჯერობით ვერ ახერხებს.

ერთი სიტყვით,ძალოვანი უწყებების,უპირატესად კი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ზოგადი საქმიანობა შეიძლება მივიჩნიოთ დამაკმაყოფილებლად,თუმცა როდესაც საქმე ეხება კრიზისულ,ფორსმაჟორულ ვითარებას,რისი ნათელი მაგალითიცაა ზემოხსენებული სამი სპეცოპერაცია,სამწუხაროდ სახელმწიფო უწყებები ვერ აღმოჩნდნენ მოწოდების სიმაღლეზე,რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ნეგატიური შედეგები.

§ 3.2 სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულება

როგორც აღვნიშნეთ,ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების მასშტაბების შესამცირებლად უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება სახელმწიფოს მიერ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს.სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად გავეცნობით როგორც რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს საქმიანობას,ასევე საქართველოს მთავრობის მიერ 2015 წელს დამტკიცებულ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიას.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო წარმოადგენს შედარებით ახალ ინსტიტუციას,რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2014 წლის ივნისიდან.სწორედ აღნიშნული უწყება „განსაზღვრავს სახელმწიფოს ოფიციალურ პოლიტიკას რელიგიურ

საკითხებთან დაკავშირებით“.სააგენტოს საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად გავეცნობით უწყების უკანასკნელი 3 წლის ანგარიშებს.

როგორც **2015** წლის შემაჯამებელ დოკუმენტში (http://religion.geo.gov.ge/images/8706ანგარიში-2015.pdf) ვკითხულობთ,საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სააგენტოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებებს წარმოადგენდა:1-რელიგიურ გაერთიანებათა ქონებრივი და ფინანსური საკითხების შემსწავლელი სარეკომენდაციო კომისია; 2-სხვადასხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და 3-სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკის სამეცნიერო კვლევის ცენტრი.რაც შეეხება აღნიშნული კუთხით გადადგმულ კონკრეტულ ნაბიჯებს.წლის განმავლობაში გაიმართა სარეკომენდაციო კომისიის 6 სხდომა,რომლებზეც მუსლიმი თემის მიერ წამოყენებული 36 შუამდგომლობიდან ყველა დაკმაყოფილდა(გვ.4-5). სხვადასხვა ინსტიტუტებთან თანამშრომლობის ფარგლებში აღსანიშნავია მემორანდუმების გაფორმება 12 უმაღლეს სასწავლებელთან და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან.სწორედ ამ უწყებამ ბრალდებულებსა თუ მსჯავრდებულებს უნდა მისცეს შესაძლებლობა აღასრულონ რელიგიური რიტუალები,შეხვდნენ სასულიერო პირებს და გაეცნონ რელიგიურ ლიტერატურას(გვ.9). რაც შეეხება მესამე მიმართულებას-რელიგიური პოლიტიკის სამეცნიერო კვლევის ცენტრი მიზანია დაეხმაროს სააგენტოს „კვლევით და სამეცნიერო საგანმანათლებლო საქმიანობაში“(გვ.10).

ანგარიშში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა რელიგიური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის საკითხს.პირველ რიგში საუბარია მათთვის საბჭოთა რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი და სიმბოლური ანაზღაურების შესახებ.როგორც ირკვევა,2015 წელს წინა წელთან შედარებით,რელიგიური გაერთიანებებისთვის გამოყოფილი დაფინანსება გაორმაგდა და შეადგინა 3 500 000 ლარი,ხოლო უშუალოდ მუსლიმურ თემს გადაეცა 2 200 000 ლარი.აღნიშნული თანხა ხმარდება „ღვთისმსახურთა სახელფასო და რელიგიური საქმიანობის განხორციელებას,საკულტო და რელიგიური შენობა-ნაგებობების რესტავრაციასა და მოვლა-პატრონობას;რელიგიურ საგანმანათლებლო საქმიანობას; რელიგიური გაერთიანების მიმდინარე საყოფაცხოვრებო ხარჯებს; კულტურულ და საქველმოქმედო საქმიანობას“(გვ.13-14).აღნიშნული ინიციატივა უდავოდ მისასალმებელი ფაქტია,თუმცა ნათელია,რომ გამოყოფილი თანხები არ არის საკ-

მარისი და ფინანსური შესაძლებლობებით მუსლიმური თემი ვერ უწევს კონკურენციას ფუნდამენტალისტებს,რომლებიც აქტიურად ფინანსდებიან სხვადასხვა გარე ძალების მიერ.დოკუმენტში ასევე ვკითხულობთ, რომ 2015 წლის განმავლობაში მუსლიმურ თემს დაუბრუნდა აჭარაში მდებარე 35 მეჩეთი,ხოლო მთელი ქვეყნის მასშტაბით 2014-15 წლებში დაბრუნებულ საკულტო ნაგებობათა რიცხვი შეადგენს 79-ს(გვ.14).

სააგენტოს 2015 წლის შემაჯამებელ ანგარიშში საუბარია ასევე კომისიის შესახებ,რომელიც შეიქმნა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში,მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხულ შენობასთან(რომელიც მუსლიმთა თქმით წარმოადგენს მეჩეთის ნანგრევებს) დაკავშირებული სადაო საკითხების შესასწავლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად.როგორც ირკვევა,კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც მუსლიმური,ისე მართლმადიდებლური თემის წარმომადგენლები,აგრეთვე სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორი და მუნიციპალიტეტის გამგებელი.საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიმართა სამი სამუშაო შეხვედრა,რის შედეგადაც „მიღწეულია პროცესის დერადიკალიზაცია ადგილობრივ მოსახლეობაში“(გვ.23).

დოკუმენტია შესახებ საუბარს დავასრულებთ იმგვარი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვით,როგორიცაა საჯარო სამსახურში სეკულარიზმისა და რელიგიური ნეიტრალიტეტის გარანტირება,რათა სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ადგილი არ ჰქონდეს მოქალაქეთა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებს. როგორც ანგარიშში ვკითხულობთ,საქართველოს მთავრობის დადგენილების თათახმად,სწორედ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს განესაზღვრა ვალდებულება უზრუნველყოს „საჯარო მოხელეების ცნობიერების ამაღლება რელიგიური ნეიტრალიტეტისა და სეკულარიზმის საკითხებზე“(გვ.28).გამომდინარე აქედან, 2015 წელს უწყების მიერ აღნიშნული მიმართულებით მომზადდა პროექტი,რომელიც ითვალისწინებს მთელი ქვეყნის მასშტაბით სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებთან.როგორც ირკვევა,საანგარიშო პერიოდის მანძილზე გაიმართა სამი სამუშაო შეხვედრა,რომლებსაც საერთო ჯამში დაესწრო 84 საჯარო მოხელე.აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობდნენ აჭარის,ქვემო ქართლის,სამცხე-ჯავახეთის,კახეთის,ქ.გორისა და ქ.თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირები.მოწვეულ

ექსპერტებთან ერთად განიხილეს შემდეგი საკითხები: სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის მოდელები დემოკრატიულ საზოგადოებაში; რელიგიისა და რწმენის თავისუფლება; დისკრიმინაცია რელიგიის ან რწმენის ნიშნით; ტოლერანტობისა და სეკულარიზმის კონცეფციების გაგება; ტოლერანტული და არატოლერანტული საზოგადოებები; სეკულარული და არასეკულარული სახელწიფოები; შეუწყნარებლობა,ქსენოფობია,თეოკრატია და კლერიკალიზმი; სახელმწიფოს და კონკრეტული საჯარო მოხელის როლი სეკულარული და ტოლერანტული გარემოს დამკვიდრებაში(გვ.28-30). ანგარიშში აღნიშნულია,რომ პროექტის დასრულება იგეგმება 2016 წლისათვის და ის მოიცავს ყველა მუნიციპალიტეტს.ამიტომაც,აღნიშნულ პროექტს შევაფასებთ მას შემდეგ,რაც გავეცნობით სააგენტოს 2016 წლის ანგარიშს.

რაც შეეხება რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს **2016-17** წლების ანგარიშს (http://religion.geo.gov.ge/images/3794Cliuri-angarishi_2016-2017.pdf). დოკუმენტში მუსლიმურ თემთან დაკავშირებით ვკითხულობთ,რომ სააგენტოს რეკომენდაციით ბოლო წლებში გადაცემულ იქნა 150 მეჩეთი,რომელთა უმრავლესობასაც გააჩნია რა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი, მათ მოვლა-პატრონობაზე ზრუნავს სახელმწიფო.გარდა ამისა,აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ მუსლიმურ თემს მფლობელობაში გადაეცა საქართველოს ხელისუფლების მიერ კი ქ. ბათუმში დაახლოებით 5 მლნ. ლარად შეძენილი ორი შენობა,რომლებშიც უნდა განთავსდეს სამუფთო რეზიდენცია და მედრესე.ასევე,საბჭოთა პერიოდში მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, 2016 წელს მუსლიმურ თემს გადაეცა 2 750 000 ლარი,ხოლო ბოლო 3 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან დახმარებამ შეადგინა 6 050 000 ლარი(გვ.9).

2016 წელს დასრულდა პროექტ „რელიგიური ტოლერანტობა და სეკულარიზმის“ განხორციელება,რომლის ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 200-ზე მეტმა საჯარო მოხელემ მთელი ქვეყნის მასშტაბით(გვ.15).გარდა ამისა,გამოიცა პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელეთათვის-„სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში“ (http://www.kas.de/wf/doc/kas_47970-1522-1-30.pdf?170221123349). ნაშრომი შედგება ოთხი თავისგან: სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი; რელიგიისა და რწმენის

თავისუფლება; მრავალფეროვნება და შემწყნარებლობა;კანონის წინაშე თანასწორობა და არადისკრიმინაციული გარემო.თითოეულ მათგანში განხილულია როგორც შესაბამისი კონცეფციები,ასევე საჯარო მოხელის კონკრეტული პასუხისმგებლობები აღნიშნული მიმართულებით,მეტი თვალსაჩინოებისათვის ყოველი თავი სრულდება საკითხთან დაკავშირებული შემთხვევათა ანალიზით. გამომდინარე იქედან,რომ უკანასკნელ წლებში საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარა საჯარო მოხელეთა მხრიდან მოქალაქეთა რელიგიური უფლებების დარღვევის ფაქტების შესახებ,ვფიქრობთ პროექტი-„რელიგიური ტოლერანტობა და სეკულარიზმი“ უნდა მივიჩნიოთ წარმატებულად.

2016 წელს ასევე გაიმართა „სოფელ მოხეში მდებარე კლუბის სტატუსით რიცხვულ შენობასთან დაკავშირებით არსებულ გარემოებების შემსწავლელი კომისიის“ ორი ოფიციალური და არაერთი არაფორმალური სამუშაო შეხვედრა.რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო აღნიშნული კომისიის საქმიანობის დადებით შედეგად მიიჩნევს იმ ფაქტს,რომ „შენარჩუნებულია წინა წლებში მიღწეული მშვიდობიანი თანაცხოვრება როგორც ადგილობრივ მოსახლეობაში,მუსლიმი და მართლმადიდებელი მრევლის დონეზე,ასევე დიალოგის რეჟიმი რელიგიურ ორგანიზაციებს შორის,ეპისკოპოსისა და მუფტის დონეზე“(გვ.25).

სააგენტო მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევს მისი მონაწილეობითა და სრული-ად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს მოწვევით 2016 წლის მაისში ქვეყანაში „ისლამურ სამყაროში უაღრესად ავტორიტეტული სასულიერო მოღვაწის,ისლამური სამყაროს ერთ-ერთი სულიერი ლიდერის“ აიათოლა სეიდ ჯავად შაჰრისტანის ვიზიტს.როგორც ანგარიშში ვკითხულობთ,მან „მაღალი შეფასება მისცა ხელისუფლების დამოკიდებულებას საქართველოში მცხოვრებ მუსლიმთა მიმართ“,ასევე დადებითად შეაფასა სააგენტოს ინტერრელიგიური საბჭოს საქმიანობა(გვ.29).

რაც შეეხება **2017** წელს განხორციელებულ ღონისძიებებს.აღსანიშნავია შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთათვის ჩატარებული ტრენინგები,რადგან ხშირ შემთხვევაში სწორედ ამ უწყების წარმომადგენელთა მხრიდან ჰქონდა ადგილი მოქალაქეთა რელიგიური უფლებების უხეშ დარღვევას.როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებულ იქნა 7 ტრენინგი,სადაც მონაწილეობა მიიღო სამინისტროს 200-ზე მეტმა თანამშრომელმა(გვ.58).

სააგენტოს მიერ რელიგიური შემწყნარებლობის მიმართულებით საზოგადოებრივი ცნობიერების ასამაღლებლად გადადგმული ნაბიჯებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პროექტი-„რელიგიური რუკა“,რომლის პრეზენტაციაც გაიმართა 2017 წლის 25 მაისს.აღნიშნულ რუკებში მოცემულია საქართველოს ცალკეულ მუნიციპალიტეტებსა თუ რეგიონებში მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები.რუკები ხელმისაწვდომია როგორც ნაბეჭდი,ისე ელექტრონული ფორმით.ასევე შეიქმნა საკულტო ნაგებობების რუკაც-სააგენტოს ვებგვერდზე 3D ფორმატში ატვირთულია ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული 25-მდე ისტორიული მნიშვნელობის საკულტო ძეგლი.როგორც სააგენტოს თავმჯდომარემ განაცხადა-„ეს პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში რელიგიური ცნობიერების ამაღლებასა და რელიგიებს შორის ურთიერთკომუნიკაციას“(გვ.60).აღნიშნულ რუკაზე მუსლიმური კონფესიის საკულტო ნაგებობათაგან წარმოდგენილია ქ.თბილისში მდებარე ჯუმა მეჩეთი.

2017 წელს სააგენტოს მიერ ჩატარებულ ღონისძიებათაგან აღსანიშნავია კონფერენცია „რელიგიური ტოლერანტობა საქართველოში“.მასში მონაწილეობდნენ როგორც ქვეყანაში არსებული სხვადასხვა რელიგიური ორგანიზაციების,ასევე დიპლომატიური კორპუსის,საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. სააგენტოს დაგეგმილი აქვს მსგავსი კონფერენციების ყოველწლიური ჩატარება(გვ.61).

საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების მიზნით, 2017 წელს მუსლიმურ თემს გამოეყო 2 750 000 ლარი, ხოლო პროექტის დაწყებიდან /2014 წ/ აღნიშნული რელიგიური გაერთიანებისთვის გადაცემული თანხის ჯამური მოცულობა შეადგენს 8 800 000 ლარს(გვ.70).

სააგენტოს ინიციატივით ასევე ფუნქციონირებს ინტერრელიგიური სათათბირო, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა აქტუალური საკითხების განხილვა ხდება საქართველოში არსებული თითქმის ყველა რელიგიური გაერთიანების მონაწილეობით(გვ.73).

როგორც უწყების ანგარიშში ვკითხულობთ, მიუხედავად იმისა,რომ საქართველოს არ აქვს საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის ვალდებულება,სახელმწიფო რელიგიურ გაერთიანებებს უბრუნებს მის ფაქტობრივ მფლობელობაში არმოჩენილ საკულტო ნაგებობებს.სააგენტოს ბაზაზე შექმნილი „რელიგიურ გაერთიანებათა ფინანსური და ქონებრივი საჭიროებების შემსწავლელი კომისიის“ გადაწყვეტილე-

ბით, 2014 წლიდან დღემდე, მუსლიმ თემს დაუბრუნდა 170 მეჩეთი.კონკრეტულად 2017 წელს გაიმართა კომისიის ხუთი სხდომა,სადაც თემის წარმომადგენელთა მხრიდან დაყენებული 26 შუამდგომლობიდან 23 დაკმაყოფილდა(გვ.74-75).

დოკუმენტის განხილვას დავასრულებთ ე.წ. მოხეს კომისიის შესახებ საუბრით, რომლის შემაჯამებელი სხდომა გაიმართა 2017 წლის 11 მაისს.სააგენტოს ინფორმაციით, მუსლიმი და მართლმადიდებელი თემის წარმომადგენელთა შორის წარმოშობილი დავა,მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ნაგებობის ისტორიული კუთვნილების შესახებ,საბოლოო ჯამში „ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით,დიალოგის გზით,კონსესუსით მოგვარდა: შენობა გადაეცა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს და შევიდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში, როგორც „სადავო ნაგებობა“.ხოლო სოფლის მოსახლეობას,მეჩეთის მშენებლობის მიზნით,გადაეცა ალტერნატიული მიწის ნაკვეთი“.შედეგად,“პრობლემის ამოწურვის შემდეგ გრძელდება სოფლის მუსლიმი და მართლმადიდებელი მოსახლეობის მშვიდობიანი თანაცხოვრება“(გვ.75-76).

ამგვარად,გავეცანით რა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ 2015-17 წლებში განხორციელებულ აქტივობებს,ვფიქრობთ,გაგვაჩნია საკმარისი საფუძველი, აღნიშნული უწყების საქმიანობა შევაფასოთ დადებითად.გასათვალისწინებელია ის გარემოებაც,რომ სააგენტო ითვლის არსებობის სულ რაღაც 4 წლიან ისტორიას,მიუხედავად ამისა,დაწესებულებამ შეძლო წარმატებით გაერთვა თავი ისეთ სენსიტიურ თემასთან დაკავშირებული საკითხებისათვის,როგორიცაა რელიგია.თუმცა,ისლამურ ფუნდამენტალიზმთან ბრძოლაში დადებითი შედეგის მისაღწევად,აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან სამომავლოდაც გადაიდგას სწორი ნაბიჯები,რათა დაინტერესებულ ჯგუფებს არ მიეცეთ შესაძლებლობა,მოახდინონ მოქალაქეთა რელიგიური გრძნობებით მანიპულირება!

რაც შეეხება 2015 წელს მიღებულ სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიას (http://smr.gov.ge/Uploads/esge_402dd469.pdf). დოკუმენტის მიხედვით 2020 წლისათვის ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებით მიღწეულ უნდა იქნეს შემდეგი სტრატეგიული მიზნები: **1**-თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში; **2**-თანაბარი სოციალური და ეკონომიკური

პირობებისა და შესაძლებლობების შექმნა; **3**-ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება; **4**-ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა(გვ.6). ნაშრომში განვიხილავთ აღნიშნული სტრატეგიის შესასრულებლად 2017 წელს გადადგმულ ნაბიჯებს.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში გვაწვდის დეტალურ ინფორმაციას იმ ღონისძიებათა შესახებ,რომლებიც განხორციელდა დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად(http://smr.gov.ge/Uploads/report_864b8967.pdf).გამომდინარე კვლევის მიზნებიდან,ჩვენ გვაინტერესებს ის პროექტები,რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ეთნიკურ აზერბაიჯანელებსა და ქისტებთან.როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ,*პირველი* სტრატეგიული მიზნის - „თანაბარი და სრულფასოვანი მონაწილეობა სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში“ უზრუნველსაყოფად ქვემო ქართლის რეგიონში გაიმართა ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემატიკის შესახებ სათათბირო საბჭოს 6 სხდომა.განხილულ იქნა სხვადასხვა პრობლემატური საკითხები,მათ შორის სახელმწიფო ენის სწავლების ხელმისაწვდომობა(გვ.14).

ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელთათვის საზოგადოებრივი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები და დისკუსიები ევროინტეგრაციის პროცესის თაობაზე.პროექტი სხვა რეგიონებთან ერთად განხორციელდა ქვემო ქართლშიც.უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის მათ მშობლიურ ენაზე გამოიცა მასალები ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის შესახებ(გვ.15-16).

აღსანიშნავია, ის ფაქტიც,რომ სტრატეგიის ფარგლებში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მომზადდა ბროშურები აზერბაიჯანულ ენაზე ბრალდებულ თუ მსჯავრდებულ პირთა უფლებების შესახებ.ამავე ენაზე დაიბეჭდა პოსტერები,სადაც მოცემულია ინფორმაცია შინაპატიმრობისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შესახებ(გვ.16).

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან განხორციელდა სხვადასხვა პროექტები ეთნიკური უმცირესობებისთვის(მათ შორის აზერბაიჯანელთათვის) თანაბარი სა-

არჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად.განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამომრჩეველთა ინფორმირების საკითხს-დაიბეჭდა სხვადასხვა სახის საარჩევნო დოკუმენტაცია უმცირესობათა ენებზე,ინტენსიურად გადამზადდნენ საარჩევნო ადმინისტრაციებში მომუშავე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.განხორციელდა ასევე მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პროექტები: „საარჩევნო განვითარების სკოლა“ (მონაწილეობა მიიღეს პანკისელმა ახალგაზრდებმაც), „არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი“ და „საარჩევნო ადმინისტრატორის კურსები“(გვ.17-20).

მნიშვნელოვანია,ასევე ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე სამაუწყებლო პროგრამებისა და ელექტრონული/ბეჭდვითი მედიის ხელმისაწვდომობის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები.პირველ რიგში აღსანიშნავია 2017 წლის სექტემბრიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის 7-ენოვანი ვებ-გვერდის www.1tv.ge ამოქმედება,აღნიშნული რესურსის საფუძველზე იგეგმება ინტერნეტ-რადიო-ტელევიზიის შექმნაც.რაც შეეხება ბეჭდვით მედიას-სახელმწიფოს მხარდაჭერით დაიბეჭდა აზერბაიჯანულენოვანი ყოველკვირეული გაზეთი „გურჯისტანი“,რომელიც ვრცელდება როგორც თბილისსა და ქვემო ქართლში,ასევე პენიტენციალურ დაწესებულებებში(გვ.22-23).

მეორე სტრატეგიულ მიზნის-„თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნის“ ფარგლებში განხორციელებული პროექტებიდან აღსანიშნავია ,,ახალგაზრდებში სამეწარმეო კომპეტენციების განვითარების პროგრამა“. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავდა ახალი პროექტი-„მეწარმეობის რეგიონული სკოლა“,რომელიც მიზნად ისახავდა „17-29 წლის ახალგაზრდების სამეწარმეო და ინოვაციური კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების განვითარებას“. პროექტში მონაწილეობა მიიღეს პანკისის ხეობაში მცხოვრებმა ახალგაზრდებმაც(გვ.25).

რაც შეეხება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიაში განსაზღვრულ *მესამე* უმნიშვნელოვანეს მიზანს-„ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესება“.როგორც ანგარიშში ვკითხულობთ,ამ მიმართულებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „გადაიდგა არაერთი ნაბიჯი“,რის შედეგადაც „უზრუნველყოფილია ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენებზე განათლების მიღების შესაძლებ-

ლობა(გვ.30).იზრდება უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელ სტუდენტთა რიცხვი-თუკი 2015 წელს ჩაირიცხა 741 აბიტურიენტი,2017 წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 1046-მდე,რომელთა შორის ეთნიკურად აზერბაიჯანელთა რიცხვი შეადგენდა 673-ს (გვ.32-33). 2017 წელს აგრეთვე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის მიმართულებითაც - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ინიციატივით,აღნიშნულ პირებს მიენიჭათ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლის სტატუსი.რაც შეეხება კონკრეტულად ქვემო ქართლის რეგიონს-მარნეულის მუნიციპალიტეტში დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განსავითარებლად(გვ.35-36). ამჟამად კი რეგიონში მოქმედი ერთადერთი სახელმწიფო პროფესიული კოლეჯი არის „მოდუსი“,რომელიც მდებარეობს ქალაქ რუსთავში (http://modusi.ge/ჩვენ-შესახებ/ისტორია/). ასევე როგორც დოკუმენტში არის აღნიშნული,საანგარიშო პერიოდის განმავლობაში „განათლების თითოეულ საფეხურზე გაგრძელდა იმ პროგრამებისა და პროექტების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებას“.თუმცა,სამწუხაროდ,გვერდს ვერ ავუვლით იმ გარემოებას,რომ ძალზე დაბალია აღნიშნული პროგრამებით მოსარგებლე მოქალაქეთა რიცხვი - 2017 წელს სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამით ისარგებლა 3247-მა ბენეფიციარმა, ხოლო ეთნიკურ აზერბაიჯანელთა რიცხვმა შეადგინა 1620 (გვ.38).

ინტეგრაციის სტრატეგიით განსაზღვრულ *მეოთხე* ძირითად მიზანს წარმოადგენს „ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის შენარჩუნება და ტოლერანტული გარემოს უზრუნველყოფა“.აღნიშნული მიზნის მისაღწევად 2017 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო თეატრი დაფინანსდა 220 881 ლარით, ხოლო მირზა ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმს გადაეცა 37 000 ლარი(გვ.40). გარდა ამისა,როგორც დოკუმენტშია აღნიშნული „ქვემო ქართლის რეგიონში განხორციელებულ კულტურულ და სპორტულ აქტივობებში აქტიურად

არიან ჩართულნი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები“. აღსანიშნავია ის ფაქტიც,რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ უმცირესობათა კულტურული ძეგლის სტატუსის მატარებელი ობიექტების მოვლა-პატრონობას (გვ.44).

სახელმწიფოს მხარდაჭერით გაიმართა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები: სახალხო დღესასწაული „პანკისობა 2017“; ვაინახური კულტურის კვირეული; ჩეჩენი და ინგუში ხალხის დეპორტაციის 73 წლისთავისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო,რომელსაც ესწრებოდნენ პანკისის ხეობიდან ჩამოსული სტუმრებიც (გვ.40-42).როგორც ქ. გორში ვაინახური კულტურის კვირეულის გახსნისას შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა განაცხადა:„ქართველ და ქისტ ხალხს მეგობრობის,თანაცხოვრებისა და სიახლოვის საუკუნოვანი ტრადიცია აქვთ.ეს ურთიერთობები სამაგალითოა და დარწმუნებული ვარ მომავალში კიდევ უფრო განმტკიცდება“ (http://radioway.ge/news/culture/item/585-etnikuri-umziresobebis-kulturis-xarmochena-chventvis-walian-mnishvnelovania-—-qetevan-zixelashvili).

ეჭვგარეშეა,თუკი ქართული სახელმწიფო შეძლებს აღნიშნული სტრატეგიული მიზნების მიღწევას,მნიშვნელოვნად შემცირდება ქვეყანაში ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევართა რიცხვი და სამომავლო პერსპექტივებიც,რადგან დაინტერესებულ რადიკალურ ჯგუფებს არ ექნებათ არავითარი საფუძველი ისაუბრონ მუსლიმური აღმსარებლობის მოქალაქეთა დისკრიმინირებული მდგომარეობის შესახებ !

დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ საქართველოში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების საკითხი, განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ იმ ფაქტორთა ანალიზს, რომლებმაც ჩვენი აზრით განაპირობეს ქვეყანაში როგორც კლასიკური,ისე რადიკალური ვაჰაბიზმის გავრცელება. აღნიშნული პრობლემა ქართული სახელმწიფოს წინაშე მეტ-ნაკლები ინტენსივობით დგას პრაქტიკულად დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე წლებიდან მოყოლებული. რატომ არის ქვეყნისთვის ნეგატიური მოვლენა ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელება?იმიტომ,რომ *ტრადიციული, კლასიკური* ვაჰაბიზმის მიმდევრები წარმოადგენენ ძალზე ჩაკეტილ თემს,რომლებიც გამოირჩევიან სხვადასხვა ანტისოციალური ქცევებით და რაც მთავარია,მათთვის მთავარია არა ეროვნული მიკუთვნებულობა,არამედ რელიგიური მრწამსის საფუძველზე ერთიანობა.ვაჰაბიტთა თვითსახელი - *მუვაჰიდუნ* სწორედ „ერთიანობის მომხრეს“ ნიშნავს.აღნიშნული მრწამსის აღმსარებელი ადამიანისათვის თანამემამულესთან შედარებით გაცილებით ახლობელი და ფასეულია ვაჰაბიზმის აღმსარებელი უცხოტომელი. *რადიკალური* ვაჰაბიზმის მიმდევრები კი წარმოადგენენ პირდაპირ საფრთხეს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის - ამჟღავნებენ რა მკვეთრად მტრულ განწყობას ნებისმიერი სხვა რელიგიური მიმდინარეობის მიმართ,მზად არიან მათ წინააღმდეგ აწარმოონ საღვთო ომი ჯიჰადი. გარდა ამისა, ქვეყანაში რადიკალური ისლამური ფუნდამენტალიზმის მიმდევართა არსებობას აქტიურად იყენებენ მტრული ძალები საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შესალახად,რასაც დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის აქტიურ პროცესში მყოფი სახელმწიფოსთვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა!

რაც შეეხება უშუალოდ საქართველოში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების პროცესს. თავდაპირველად,კერძოდ კი XX ს.-ის 90-იან წლებში პანკისის ხეობაში აქტიურად დაიწყო გავრცელება ვაჰაბიზმის ტრადიციულმა,კლასიკურმა მიმართულებამ. კვლევის პროცესში შესაბამისი ლიტერატურის ანალიზისა თუ სიღრმისეული ინტერვიუირების შედეგად მოძიებული ინფორმაცია გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ,რომ XX ს.-ის მიწურულს აღნიშნულ რეგიონში ისლამური

ფუნდამენტალიზმის გავრცელება განაპირობა შემდეგმა ძირითადმა ფაქტორებმა: **1-** დაინტერესებული უცხო ძალების მხრიდან,პირველ რიგში ვგულისხმობთ საუდის არაბეთს,ვაჰაბიტთა სხვადასხვა სახის,განსაკუთრებით კი ფინანსური რესურსებით მასშტაბური დახმარებამ; **2-** ფუნდამენტალისტთა გაძლიერებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ასევე იმ ფაქტმა,რომ საბჭოთა პერიოდში ადგილი ჰქონდა ტრადიციული ისლამის გავლენის მკვეთრ შემცირებას,რომელიც ტოტალიტარული რეჟიმის მიერ გამოცხადებული„მებრძოლი ათეიზმის“ პირობებში განიცდიდა სასტიკ დევნასა და შევიწროებას; **3-** ქვეყანაში მასშტაბური სოციალურ-პოლიტიკური კრიზისი არსებობამ, რომლის შედეგადაც პანკისში შეიქმნა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება.

პანკისის ხეობაში,*რადიკალური* ვაჰაბიზმის გავრცელება მნიშვნელოვანწილად განაპირობა ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებმა.ჯიჰადის დროშის ქვეშ მიმ-დინარე რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის შედეგად პანკისში აღმოჩნდა ათასობით ლტოლ-ვილი,რომელთა შორისაც,ბუნებრივია,მრავლად იყვნენ რადიკალური ვაჰაბიზმის მიმ-დევრები.აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ის ფაქტი,რომ ხეობაში ისლამური ფუნ-დამენტალიზმის დომინანტური მიმართულება გახდა სწორედ რადიკალური ვაჰაბიზ-მი.დაუძლურებულ ქართულ სახელმწიფოს,ბუნებრივია,არ შესწევდა მსგავსი მასშტაბუ-რი პრობლემის საკუთარი ძალებით მოგვარების უნარი,ამიტომაც ხეობაში მსგავსი ვითარება შენარჩუნდა იქამდე,ვიდრე დასავლური ქვეყნების მნიშვნელოვანი დახმარე-ბის შედეგად არ მოხდა პანკისის ხეობის ისლამისტი ტერორისტებისაგან „გაწმენდა“. თუმცა ხეობაში კვლავ განაგრძო არსებობა ტრადიციულმა ვაჰაბიზმმა,რომელიც ღებუ-ლობდა რა მნიშვნელოვან მხარდაჭერას არაბული ქვეყნებიდან,აქტიურ კონკურენციას უწევდა ტრადიციულ ისლამს და ცდილობდა გამხდარიყო დომინანტი რელიგიური მი-მართულება.

რაც შეეხება *რადიკალური* ფუნდამენტალიზმის ხელახალ „აღორძინებას“ და მის გავრცელებას ქვეყნის მუსლიმური თემის სხვადასხვა ნაწილში.სწორედ აღნიშნული სა-კითხი წარმოადგენს ჩვენი უმთავრესი ინტერესის საგანს.კვლევის შედეგად მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე,ვფიქრობთ,შეგვიძლია განვაცხადოთ,რომ ამ პრობლემის გა-მომწვევ უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს მუსლიმი აღმსარებლობის მოქალაქეთა გარკ-ვეული ნაწილის წარუმატებელი *პოლიტიკური სოციალიზაცია*,რასაც დაერთო დაჯგუ-

ფება „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ ინტერნეტის,განსაკუთრებით კი სოციალური ქსელების მეშვეობით წარმოებული მასშტაბური *პროპაგანდისტური კამპანია.*

სოციალიზაციის პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ ფაქტს,რომ საქართველოს მუსლიმი აღმსარებლობის მოქალაქეები იძულებულნი არიან უმაღლესი თეოლოგიური განათლება მიიღონ საზღვარგარეთ,რადგან ქვეყანაში ფუნქციონირებს მხოლოდ რელიგიური პანსიონები,რომლებიც წარმოადგენენ სწავლების შედარებით დაბალ საფეხურს. საზღვარგარეთ არსებულ რელიგიურ სასწავლებლებში კი მაღალია რადიკალური იდეების გავლენის ქვეშ მოქცევის ალბათობა,განსაკუთრებით ეს ეხება არაბულ სახელმწიფოებს. ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი ფაქტია ისიც,რომ საქართველოს მუსლიმური თემის ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფში - ეთნიკურ აზერბაიჯანელებში სახელმწიფო ენის თავისუფლად ფლობის მაჩვენებელი შეადგენს მხოლოდ 10 %-ს.ამ ადამიანთა შორის „ისლამური სახელმწიფოს“ მიერ პროპაგანდირებული იდეების გავრცელებას ხელი შეუშალა იმ ფაქტმა,რომ საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა აბსოლუტური უმრავლესობა არის შიიტური ისლამის მიმდევარი,რომლის მიმართაც ISIS არის უკიდურესად მტრულად განწყობილი.

„ისლამური სახელმწიფოს“ მიერ გავრცელებული ვიდეო-მიმართვის „გზავნილი ქართველ ხალხს“ ანალიზი ცხადყოფს,რომ დაჯგუფება ქართველ მუსლიმთა გადაბირებას ცდილობდა შემდეგ თემატიკაზე აქცენტირებით: **1-**„ისლამური სახელმწიფოში“ გაწევრიანება არის ყველა მართლმორწმუნე მუსლიმის რელიგიური ვალდებულება; **2-** დასავლურ სამყაროში და მათ შორის საქართველოშიც,ადგილი აქვს მუსლიმთა სისტემურ ჩაგვრას და ისინი იმყოფებიან „დამცირებულ, დაკნინებულ მდგომარეობაში.მსგავსი მსოფლმხედველობის მქონე ქართველი მუსლიმები(რომელთა რიცხვი,საბედნიეროდ,ძალზე მცირეა),საქართველოს მთელ ტერიტორიას,განსაკუთრებით კი აჭარას მიიჩნევენ რა „დარ ალ-ისლამად“,ანუ „ისლამის მიწად“,მოითხოვენ რეგიონი იმართებოდეს „ალაჰის მსაჯულების“ შესაბამისად შარიათის კანონებით.

რაც შეეხება ქართული სახელმწიფოს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ისლამური ფუნდამენტალიზმის მასშტაბების შესამცირებლად.თავდაპირველად ვისაუბრებთ იმ

პოლიტიკის შესახებ,რომელსაც ატარებდა სხვადასხვა ხელისუფლება ვაჰაბიზმის პლაც-დარმის-პანკისის ხეობის მიმართ. ე.*შევარდნაძის* მმართველობის პერიოდში,როდესაც ქვეყანა წარმოადგენდა „არშემდგარ სახელმწიფოს“,ხელისუფლება პრაქტიკულად ვერ აკონტროლებდა საზღვრისპირა რეგიონებს და განსაკუთრებით პანკისს,ამიტომაც საუ-ბარი რაიმე სახის პოლიტიკის არსებობაზე რეგიონის მიმართ,აზრს მოკლებულია.“ვარ-დების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსული პოლიტიკური ძალა ადგილობ-რივ მცხოვრებთა თქმით,არათუ ებრძოდა ვაჰაბიზმის გავრცელებას,არამედ რეგიონის „გასაკონტროლებლად“ აქტიურად თანამშრომლობდა მათთან.ვფიქრობთ,ხელისუფლე-ბის მხრიდან აქცენტის გაკეთება არა ტრადიციულ ისლამზე,არამედ ვაჰაბიზმზე,იყო სტრატეგიული შეცდომა,რაც დასრულდა ლაფანყურის ტრაგიკული სპეცოპერაციით!

თანამედროვე ეტაპზე ისლამურ ფუნდამენტალიზმთან ბრძოლის კუთხით შეიძ-ლება გამოიყოს ორი მიმართულება: **1**-ძალოვანი უწყებების საქმიანობა; **2**-სამოქალაქო ინტეგრაცია.განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-2 მიმართულება,რომელიც წარმოად-გენს სტრატეგიულ ხაზს და აქცენტირებულია იმ მიზეზთა აღმოფხვრაზე,რომლებიც ხელს უწყობენ საქართველოში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელებას. ძალოვან უწყებებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს. გავეცანით რა უკანასკნელ წლებში უწყების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს,ვფიქრობთ,მისი ზოგადი საქმიანობა შეიძლება შეფასდეს დამაკმაყოფილებლად,თუმცა კრიზისულ,ფორსმაჟორულ ვითარებებში,რისი მკაფიო მაგალითიცაა ნაშრომში განხილული 2017 წელს ჩატარებული ორი სპეცოპერაცია, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე და დაშვებულ იქნა მთელი რიგი შეცდომები.

სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ 2014 წელს შექმნილ ახალ ინსტიტუციას - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს.ასევე განვიხილეთ 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია.დეტალურად გავეცანით რა 2015-17 წლებში სააგენტოს მიერ განხორციელე-ბულ ქმედებებს,აღნიშნული უწყების საქმიანობას მივიჩნევთ დადებითად. რაც შეეხება სახელმწიფო სტრატეგიას, ნათელია,თუკი მოხერხდება დოკუმენტით განსაზღვრული

მიზნების მიღწევა, ეს იქნება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი ისლამურ ფუნდამენტალიზმთან ბრძოლის პროცესში;თუმცა უდავოა ისიც,რომ დასახულ მიზანთა მიღწევა არ იქნება ადვილი და მათ შესასრულებლად სახელმწიფოს დასჭირდება მნიშვნელოვან დაბრკოლებებთან გამკლავება!

მიუხედავად იმისა,რომ დასავლური კოალიციისა და რუსეთის სამხედრო ოპერაციების შედეგად „ისლამურმა სახელმწიფომ“ დაკარგა ახლო აღმოსავლეთში საკუთარ კონტროლ-ქვეშ არსებული ტერიტორიების უდიდესი ნაწილი და მისი ძლიერება მკვეთრად შემცირდა,ისლამური ფუნდამენტალიზმი კვლავაც რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად ცივილიზებული სამყაროსათვის და მათ შორის საქართველოსთვისაც.სწორედ ამიტომ,ხელისუფლებამ აქტიურად უნდა განაგრძოს ბრძოლა ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.უმნიშვნელოვანესია გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები ისლამის აღმსარებელ მოქალაქეთა წარმატებული პოლიტიკური სოციალიზაციისათვის,რადგან დღეს როდესაც კვლავაც აქტიურად მიმდინარეობს ინტერნეტის მეშვეობით რადიკალური იდეების პროპაგანდირება,რის წინააღმდეგაც ბრძოლა არის წარმოუდგენლად რთული,დაინტერესებულ ჯგუფებს არ მიეცეთ ქართულ სახელმწიფოსთან გაუცხოებულ მოქალაქეთა გადაბირების შესაძლებლობა!

გამოყენებული ლიტერატურა

1) გაჩეჩილაძე,რ.(2011). *ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა.* თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

2) გოგუაძე,გ. & კაპანაძე,ს.(ნოემბერი,2015).*დაეში და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები.* ვებ-გვერდი: http://grass.org.ge/wp-content/uploads/2015/11/daesh-da-skhva-gamotsvevebi.pdf (ნანახია 08-07-2018).

3) მაგშტადტი,თ.(2010). *გავიგოთ პოლიტიკა: იდეები,ინსტიტუტები და პრობლემები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

4) მაისაია,ვ.(2009). *თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში: (რეგიონული პროცესების მაგალითზე).* ვებ-გვერდი: http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL2.10&d=HASH01bde295082ec32abb82af60.1 (ნანახია 08-07-2018).

5) მაისაია,ვ.(2013).*საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები ცივი ომის შემდეგ (1991-2004).*თბილისი:სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი.

6) პაპუაშვილი,ნ.(2008).ისლამი.*რელიგიები საქართველოში,*კიკნაძე(რედ).ვებ-გვერდი: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/8483/1/Religiebi_Saqartveloshi.pdf (ნანახია 08-07-2018).

7) სიხარულიძე,ა.,ურუშაძე,მ.,ხმალაძე,გ. & ჭიჭინაძე,რ. (2016).*ისლამი საქართველოში: პოლიტიკა და ინტეგრაცია.* ვებ-გვერდი: http://caucasianhouse.ge/wp-content/uploads/2017/05/Islam-GE-web-2.pdf (ნანახია 08-07-2018).

8) ჰეივუდი,ე.(2004).*პოლიტიკური იდეოლოგიები.* თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.

9) რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წლიური ანგარიში 2015. ვებ-გვერდი: http://religion.geo.gov.ge/images/8706 ანგარიში-2015.pdf (ნანახია 08-07-2018).

10) რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს წლიური ანგარიში 2016-17.ვებ-გვერდი: http://religion.geo.gov.ge/images/3794Cliuri-angarishi_2016-2017.pdf (ნანახია 08-07-2018)

11) საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოს ანგარიში 2012 წლის 28 აგვისტოს სოფელ ლაფანყურთან,ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ.(2014).ვებ-გვერდი: http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2102.pdf (ნანახია 08-07-2018).

12) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში-01.08.2015-31.12.2015. ვებ-გვერდი: https://ssg.gov.ge/uploads/ანგარიშები/SSSG%20REPORT.pdf (ნანახია 08-07-2018).

13) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში-01.01.2016-31.12.2016. ვებ-გვერდი: https://ssg.gov.ge/uploads/ანგარიშები/angarishi2016.pdf (ნანახია 08-07-2018).

14) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიში-01.01.2017-31.12.2017. ვებ-გვერდი: https://ssg.gov.ge/uploads/ანგარიშები/angarihi%202017.pdf (ნანახია 08-07-2018).

15) სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია.(2015). ვებ-გვერდი: http://smr.gov.ge/Uploads/esge_402dd469.pdf (ნანახია 08-07-2018).

16) სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში. ვებგვერდი: http://smr.gov.ge/Uploads/report_864b8967.pdf (ნანახია 08-07-2018).

17) სეკულარიზმი და რელიგიური ნეიტრალიტეტი საჯარო სამსახურში-პრაქტიკული სახელმძღვანელო საჯარო მოხელეთათვის.(2016).ვებ-გვერდი: http://www.kas.de/wf/doc/kas_47970-1522-1-30.pdf?170221123349 (ნანახია 08-07-2018).

18) მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.დემოგრაფიული და სოციალური მახასიათებლები.ვებ-გვერდი: http://census.ge/ge/results/census1/demo (ნანახია 08-07-2018).

19) საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.ვებ-გვერდი:

http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/census/2002/II%20tomi%20.pdf (ნანახია 08-07-2018).

20) საქართველოს რელიგიური რუკა.ვებ-გვერდი: http://religion.geo.gov.ge/statmaps/ (ნანახია 08-07-2018).

21) ბურჭულაძე,ნ.(03-01-2018). ISIS-ის "ქართული" სიმბოლოები. ვებ-გვერდი: https://www.kvirispalitra.ge/versia/39105-isis-is-qqarthuliq-simboloebi.html (ნანახია 10-07-2018)

22) ეთნიკური უმცირესობების კულტურის წარმოჩენა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია – ციხელაშვილი.(06-11-2017).ვებ-გვერდი: https://radioway.ge/news/culture/item/585-etnikuri-umziresobebis-kulturis-xarmochena-chventvis-walian-mnishvnelovania---qetevan-zixelashvili (ნანახია 10-07-2018).

23) ლომიძე,ე.(30-11-2015). ქართველი მუსლიმები აჭარიდან -"საქართველოსთვის შევაკვდებით ყველას". ვებ-გვერდი: https://www.kvirispalitra.ge/public/27545-qarthveli-muslimebi-atcaridan-qsaqarthvelosthvis-shevakvdebith-yvelasq.html?device=xhtml (ნანახია 10-07-2018).

24) ლორთქიფანიძე,ე.(26-04-2002). რუსეთი აცხადებს, რომ მისმა ჯარისკაცებმა ჩეჩენ მეამბოხეთა მეთაური ხატაბი მოკლეს. ვებ-გვერდი: https://www.radiotavisupleba.ge/a/1520383.html (ნანახია 10-07-2018).

25) მაისაია,ვ.(07-06-2017). „ისლამური ხალიფატის" საინფორმაციო-პროპაგანდისტული/კიბერ-ვირტუალური ომის სპეცეფიკა - „რბილი ძალის" კონცეფტი.ვებ-გვერდი: http://www.geotimes.ge/blogi/index.php?m=82&post_id=18 (ნანახია 10-07-2018).

26) მაჭავარიანი,ქ.(29-08-2017).ომბუდსმენი:ლაფანყურის სპეცოპერაცია 5 წლის შემდეგაც გამოუძიებელია.ვებ-გვერდი: http://netgazeti.ge/news/217570/ (ნანახია 10-07-2018)

27) მუსელიანი,დ.(25-11-2015). "ტაკფირისტებს საქართველოში ცალკე რეგიონის ჩამოყალიბება სურთ,სადაც შარიათის კანონებით იცხოვრებენ". ვებ-გვერდი: http://accent.com.ge/ge/news/details/2737 (ნანახია 10-07-2018)

28) ნიკურაძე,მ.(12-11-2013).ჭელას მინარეთის კონფლიქტი კვლავ გადაუჭრელია.ვებ-გვერდი: http://dfwatch.net/ ჭელას-მინარეთის-კონფლიქტ-25916 (ნანახია 10-07-2018).

29) პანკისის ხეობაში საპროტესტო აქცია გაიმართება.(20-04-2018).ვებ-გვერდი: https://www.radiotavisupleba.ge/a/29180531.html (ნანახია 10-07-2018)

30) სანებლიძე,ა.(09-09-2015).ზაურ გუმაშვილი:ვაჰაბიტები აკონტროლებენ პანკისს, ჩვენ ვაკონტროლებთ ვაჰაბიტებს– ასეთი იყო სააკაშვილის ხელისუფლების ლოგიკა.ვებ-გვერდი: http://reportiori.ge/old/?menuid=74&id=75726 (ნანახია 10-07-2018)

31) სოფელ მოხეში განვითარებული მოვლენების ანალიზი(31-10-2014).ვებ-გვერდი: http://www.tdi.ge/ge/news/126-sopel-moxeshi-ganvitarebuli-movlenebis-analizi (ნანახია 10-07-2018)

32) ქობულეთში მუსლიმთა დაგეგმილი პანსიონის კარზე ღორის თავი მიაჭედეს. (11-09-2014).ვებ-გვერდი: https://old.civil.ge/geo/article.php?id=28672 (ნანახია 10-07-2018)

33) წულაძე,ზ.(24-11-2015). არის თუ არა ყურანის სწავლება ექსტრემისტული? ვებ-გვერდი: https://www.amerikiskhma.com/a/isis-georgia/3071479.html (ნანახია 10-07-2018)

34) ხარაძე,ნ.(10-01-2018). სპეცოპერაციისას დაჭრილი თემირლან მაჩალიკაშვილი გარდაიცვალა.ვებ-გვერდი: https://www.radiotavisupleba.ge/a/specoperaciisas-dachrili-temirlan-machalikashvili-gardaicvala/28967006.html (ნანახია 10-07-2018)

35) Barrett,R.(NOVEMBER 2014). *THE ISLAMIC STATE*. Available from: http://soufangroup.com/wp-content/uploads/2014/10/TSG-The-Islamic-State-Nov14.pdf (ნანახია 10-07-2018)

36) Leppink, D.(2017). *Recruitment Propaganda of the Islamic State*.

37) Roy,O.(2004).*Globalized Islam: The Search for a New Ummah*. New York: Columbia University Press.

38) The Meir Amit Intelligence and Terrorism Information Center(November 2014). *ISIS: Portrait of a Jihadi Terrorist Organization*. Available from: http://www.terrorism-info.org.il//Data/articles/Art_20733/101_14_Ef_1329270214.pdf (ნანახია 10-07-2018).

39) Islamic State's (ISIS, ISIL) Horrific Magazine(10-09-2014). Available from: https://clarionproject.org/islamic-state-isis-isil-propaganda-magazine-dabiq-50/ (ნანახია 10-07-2018)

40) Callimachi,R.(22-04-2018). ISIS Spokesman Calls for Attacks on Arab Nations.Available from: https://www.nytimes.com/2018/04/22/world/middleeast/isis-arabs-attacks.html (ნანახია 10-07-2018)

41) McIntyre,J.(17-04-2018). ISIS regaining control of some areas of Syria, US military says. Available from: https://www.washingtonexaminer.com/policy/defense-national-security/isis-regaining-control-of-some-areas-of-syria-us-military-says (ნანახია 10-07-2018)

42) Президент Ирана назвал "Исламское государство" угрозой человечеству(18-09-2014). Веб-страница: http://tass.ru/mezhdunarodnaya-panorama/1450525 (ნანახია 10-07-2018).

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Merab Tsomaia

Islamic fundamentalism and Georgia

Political Science

Thesis is completed for Gaining Master's Degree in Political science

Instructor : Zviad Abashidze

Associated Professor

Tbilisi

2018